ავტონომია

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№17 (25.145) 3 მაისი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 17-22, მთიან რაიონებში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით.

გიდოცავთ ალდოს შიგ ბრწყინვალე ლღვანერეულს!

საპატრიარქო: დროა, ურთიერთობებმა ქუჩიდან მოლაპარაკების მაგიდასთან გადაინაცვლოს

საქართველოს საპატრიარქო თბილისში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება და მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებს. „გულისტკივილით ვადევნებთ თვალს იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინა დღეებში რუსთაველის პროსპექტზე განვითარებულ მოვლენებს. დამაფიქრებელია ის დაძაბული ვითარება და პოლარიზება, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში არსებულმა ბოლოდროინდელმა აზრთა სხვადასხვაობამ გამოიწვია

სამწუხაროდ, ადამიანები დაუფარავად ავლენენ ერთმანეთისადმი სიძულვილს, კატეგორიულ მიუღებლობას და რადიკალურ დამოკიდებულებას განსხვავებული აზრისა და პოზიციის გამო. უთანხმოება ყოველდღიურად ღრმავდება და კრიზისში შედის.

როგორიც უნდა იყოს გარეშე პირობები, ამ ვითარებაში სამოქალაქო მშვიდობის დასაცავად ყველას გვეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, სახელმწიფოს, ეკლესიას, არასამთავრობო თუ პოლიტიკურ სპექტრს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასეთ რთულ პერიოდში ყველასთვის ზიანის მომტანი იქნება შეურაცხმყოფელი მოქმედებები როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების და განსაკუთრებით, სამართალდამცავების მიმართ, ასევე, აზრის მშვიდობიანად გამოთქმის უფლების დარღვევა ან ძალის შესაძლო გადამეტება.

დღეს საპროტესტო შეკრების ადგილზე ძალიან ბევრი სამშობლოს ბედით გულანთებული ახალგაზრდა დგას, ისინი სწორედ იმ თაობის წარმომადგენლები არიან, რომელთაც საქართველოს მომავალი უნდა შექმნან. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, დროა, შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან მშვიდობიანი გამოსავლის საძიებლად, ურთიერთობებმა გადაინაცვლოს ქუჩიდან მოლაპარაკების მაგიდასთან. ამ პროცესის დიალოგის ფორმატში გადატანით ხელს შევუწყობთ მოვლენების მშვიდობიანად წარმართვას და თავიდან ავიცილებთ ჩვენი ქვეყნისა და მომავალი თაობისათვის დამაზიანებელ შედეგებს. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ხალხი და საქართველო“, - ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.

საყოველთაო-სახალხო შეკრება რუსთაველზე - მოქალაქეების და პოლიტიკოსების შეფასებით

2

რატომ ფიქრობენ ოპოზიციონერები, რომ კანონპროექტი რუსულია?

4

ბათუმი მესამე საერთაშორისო კონფერენციას „ადრეული განათლება და ზრუნვა“ უმასპინძლებს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფუვაძე გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს საქართველოში იესპერ მოლერს შეხვდა. შეხვედრაზე რეგიონში „UNICEF“-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამები შეაფასეს და ბავშვთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, „UNICEF“-ის მხარდაჭერით, ბათუმი მესამე საერთაშორისო კონფერენციას „ადრეული განათლება და ზრუნვა“ უმასპინძლებს, რომლის მიზანი ინკლუზიურ საკითხებზე ადრეული განათლების ხელმისაწვდომობაა.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, აჭარაში ჯანმრთელობის, სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროებში UNICEF-ის არაერთი პროგრამა ხორციელდება, ისაუბრეს ბათუმში განხორციელებული მასშტაბური სოციალური პროექტის ე.წ. ოცნების ქალაქის და იქ მცხოვრები ათასობით ადამიანის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საყოველთაო-სახალხო შეკრება რუსთაველზე – მოქალაქეების და პოლიტიკოსების შეფასებით

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

29 აპრილს თბილისში, რუსთაველის გამზირზე პარტია „ქართული ოცნების“ ორგანიზებით საყოველთაო-სახალხო შეკრება გაიმართა, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მოქალაქეები შეუერთდნენ. შეკრების მიზანი იყო, ერთი მხრივ, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის მხარდაჭერა და მეორე მხრივ, დასავლეთისთვის კიდევ ერთხელ იმის შეხსენება, რომ ევროპის ნაწილი ვართ და გვინდა მასთან ინტეგრაცია. ღონისძიება საქართველოს ჰიმნით გაიხსნა. შეკრების სლოგანი იყო „მამული, ენა, სარწმუნოება“.

მას შეუერთდნენ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები, რომლებმაც „ფილარმონიიდან“ საკანონმდებლო ორგანომდე მსვლელობა გამართეს.

საქართველოს პარლამენტთან შეკრებილებს სიტყვით მიმართეს პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა, აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ, გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. შეკრებაზე ხაზი გაესვა ევროპისკენ სწრაფვას და ბიძინა ივანიშვილმა მოსახლეობას აღუთქვა, რომ „ყველა წინააღმდეგობას გადავლახავთ, სუვერენიტეტსაც განვიმტკიცებთ, მშვიდობასაც შევინარჩუნებთ, ქართულ ეკონომიკასაც გავაძლიერებთ და 2030 წელს გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა“.

ოპოზიციის და საზოგადოების ნაწილის თქმით, ხელისუფლებას ძალიან ეშინია მიმდინარე მოვლენების და სწორედ ამიტომ გამართა აღნიშნული შეკრებაც. როგორ აფასებენ მოქალქეები და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ საყოველთაო-სახალხო შეკრებას, გთავაზობთ მათ მოსაზრებებს.

თენგიზ აშხაზავა, ბათუმის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე:

- ჩვენი შეკრების ძირითადი მიზანი იყო ის, რომ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ ჩვენს მეგობრებს და არამეგობრებს დაენახათ, ქართველი ხალხის სურვილი და ის, თუ სად დგას საქართველო და რომ მხოლოდ ხელისუფლებას აქვს უფლება, ილაპარაკოს ხალხის სახელით, რადგან ის არჩევნების გზით მოვიდა სახელმწიფოს სათავეში. ჭორია, რომ სხვადასხვა კუთხიდან შეკრებაზე წამსვლელებს ფული გადაუხადეს. ცხადია, როდესაც ავტობუსს მიჰყავს შეკრებაზე წასვლის მსურველები, ამას ახლავს გარკვეული ხარჯი, რაც ჩვეულებრივი ამბავია ნებისმიერი შეკრებისა თუ აქციის დროს. ვინც შეკრებაზე იმყოფებოდა, იმ ხალხისთვის ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მომავალი. იქ იყვნენ ადამიანები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია ქართული იდენტობა, ქართული ტრადიციები, ოჯახის სიწმინდე და აქედან გამომდინარე, ყველა მათგანი ამ მიზნით იყო მისული. საყოველთაო შეკრებას მხარი დაუჭირა არა მარტო საზოგადოების, ჩვენი მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა, არამედ ყველა სხვა ინსტიტუციამ, გარდა იმ ბინძური ფულით დაფინანსებული არასამთავრობოებისა, რომლებიც ამ თანხებს იყენებენ ქვეყნის რყევისთვის, რევოლუციების მოწყობის მცდელობისთვის, ლგბტ პროპაგანდისთვის და ეკლესიის შეურაცხყოფისთვის. მე პირადად დიდი ემოციით დავბრუნდი ამ შეკრებიდან, სადაც ვნახე ჩემი ნამდვილი და ღირსეული საქართველო.

ნერიმან ცინცაძე, ბათუმის საკრებულოს წევრი „ქართული ოცნებიდან“:

- ქართველმა ერმა თავისი მრავალრიცხოვნებით გვაჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის სამშობლო თავისი ტრადიციებით. ჩვენი, საქართველოს ყველა თაობის ნებისმიერი მოქალაქის ვალდებულებაა, დავიცვათ ქვეყნის ინტერესები. ვართ ღია, მაგრამ გვინდა უსაფრთხო, გამჭვირვალე ურთიერთობები. ჩვენ თავისუფლებისმოყვარე ერი ვართ და უნდა ვიყოთ ფრთხილად, რომ ეს ძნელად მოპოვებული თავისუფლება არ დავკარგოთ. ქართველებმა ვაჩვენეთ, რომ ამდენ ხალხს შეგვიძლია ერთმანეთის გვერდით დგომა მშვიდად, ერთი იდეის გარშემო გაერთიანებულებს. ჩვენი შეკრება უნდა გახდეს მაგალითი იმისა, როგორი უნდა იყოს საქართველოში მასობრივი თავშეყრები, აქციები - უბრალოდ, მშვიდობიანი, ცივილური, საქმიანი. ოპოზიცია როცა იქნება მოტივირებული ხელისუფლების შეცდომების, ხარვეზების გამოაშკარავებით და მასთან ერთად გამოსწორების სურვილით და მცდელობით, მაშინ ვიქნებით ძლიერი ქვეყანა. საყოველთაო-სახალხო შეხვედრა იყო ძალიან მაღალი დონის და არა მარტო ჩვენი ოპოზიციისათვის, არამედ ბევრი ევროპული ქვეყნისთვისაც სამაგალითო. ეს დღე ჩემთვის იყო დიდი ემოციებით და ადამიანებისადმი სიყვარულით დატვირთული. ერთად ვიდექით ყველა თაობის ადამიანები საქართველოს მომავლისათვის. ილიასეული სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“, უნდა გვახსოვდეს ყოველთვის.

ბაჩი მეძვაბიშვილი, ფრაქცია „თავისუფლების კვარტალი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე:

- 29 აპრილს ყველამ დავინახეთ, რეალურად რას ემსახურებოდა „ქართული ოცნების“ შეკრება. ბიძინა ივანიშვილს უნდოდა, ძალა ეჩვენებინა, ჩვენ მეტნი ვართო, მაგრამ არ გამოუვიდათ, რადგან წინა დღით უფრო მეტი ახალგაზრდა შეიკრიბა, თან მხოლოდ თბილისიდან. ჩვენ ვნახეთ კვლევაც, რომლის მიხედვითაც 106 000 ახალგაზრდა იყო გამოსული, „ქართული ოცნების“ შეკრებაზე - 98 000 ადამიანი. „ქართული ოცნება“ მხოლოდ ციფრებს და ადამიანების დათვლაზე არის გადასული. ჩვენ თანდათან უფრო მეტი და მეტი ვიქნებით. მმართველი პარტია დღეს აგონიაშია და თან ძალიან შეშინებულიც.

არჩილ სამნიძე, პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის წევრი:

- ხელისუფლების მხრიდან საკუთარი მოქალაქეების გამოსვლების კონტრაქციის ჩატარება და ამით თითქოს მასობრივი მხარდაჭერის დემონსტრირება არაერთხელ გვინახავს ჩვენს ქვეყანაში. შევარდნაძემ დაიწყო ეს და შემდეგ გააგრძელა სააკაშვილმაც. ამჯერად, იგივე შეცდომა დაუშვა ივანიშვილმაც. ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში, როცა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით აქციები ჩაატარეს, შემდეგ შევარდნაძემაც და სააკაშვილმაც მალევე დათმეს მართვის სადავეები. ისტორია მეორდება და იგივე პროცესს ვადევნებთ თვალს ივანიშვილის შემთხვევაშიც. ზოგადად, ეს მარტივი ინდიკატორია ხელისუფლების შიშის დასანახად. როცა ეშინია ხელისუფლებას სადავეების დაკარგვისა, კარგავს რაციონალური მოქმედების უნარს. შიშის ფაქტორის გამო ხელისუფლების დათმობის ეს პროცესები, როგორც უკვე აღვნიშნე, ვიხილეთ შევარდნაძისა და სააკაშვილის შემთხვევებში და აუცილებლად ვიხილავთ, ასევე, წელსვე ივანიშვილის შემთხვევაშიც. ესაა ჩემი ზოგადი კომენტარი ამ ფაქტთან დაკავშირებით და იმ სიგიჟეებისა და შეთქმულების აბსურდული თეორიების განხილვაში აღარ შევალ, რაც ამ აქციაზე მოვისმინეთ.

არჩილ ბერიძე, პარტია „ლელოს“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი:

- „ქართულმა ოცნებამ“ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, შანტაჟით, დაშინებითა და მოსყიდვით სცადა რეგიონებიდან ხალხის მობილიზება, რათა ეჩვენებინა საკუთარი ძალა, მაგრამ გამოჩნდა, რომ ხელისუფლების მიმართ ნდობა საზოგადოებაში მინიმუმამდეა დასული. ხელისუფლების მხრიდან მსგავსი ტიპის აქციების მოწყობა უშინაარსოა და მეტი არაფერი. გამოჩნდა, რომ 28 აპრილს, საკუთარი ნებით და სურვილით უფრო მეტი ადამიანი გავიდა იდეისთვის. ეს იდეა არის სახელმწიფოებრივი - რომ ჩვენ, ახალგაზრდებს, გვსურს ევროპისკენ სვლა და არცერთი ნაბიჯით - რუსეთისკენ. არცერთ ხელისუფლებას არ მოუგია ბრძოლა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, არც ეს შემთხვევა იქნება გამონაკლისი. „ქართულ ოცნებას“ სურს, რომ დაგვაშოროს ევროკავშირს და დაგვაახლოოს რუსეთს, მაგრამ ჩვენ, ჯანსაღი საზოგადოება, აუცილებლად გავიმარჯვებთ.

მიხა რთველიაშვილი, მოქალაქე:

- მადლობა ღმერთს! დღეს ჩვენს სამშობლოს ჰყავს ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება, რომელმაც თეთრი ხელთათმანი ესროლა სახეში გლობალურ ომის პარტიას. ესენი არიან ანგლოსაქსური სამყაროდან, რომელთა იდეაც არის, ადამიანს წაართვან ენა, რომლითაც ვადიდებთ უფალს, მამული, რომელიც დედაღვთისმშობლის წილხვედრია და უმთავრესი ამ ტრიადიდან არის სარწმუნოება. ამიტომ, როგორც არასდროს, დღეს სჭირდება ერის და ბერის თანადგომა ჩვენს ხელისუფლებას. აი, ამიტომ ვიდექი მთელი ჩემი ოჯახით სახალხო შეკრებაზე.

ნინო ბახტაძე, მოქალაქე:

- ბავშვობაში მამამ ჩვენი სახლიდან იქვე, ახლოს, გმირთა მოედანზე წამიყვანა, სადაც შენობის ლურჯ კედელზე თეთრი დიდი შრიფტით ილია ჭავჭავაძის სიტყვები ეწერა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“. მამაჩემმა მითხრა, შვილო, ეს დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვებია, მთელი გულით, მთელი სიყვარულით წაიკითხე და დაიმახსოვრე ისე, რომ არასდროს დაგავიწყდესო! ამ სამ სიტყვაშია ქართული ღირებულებები და ქვეყნის მომავალიო! მე ქალაქ ოზურგეთიდან ვარ, აქ დავიბადე და გავიზარდე. რაც თავი მახსოვს, ჩემი მშობლები მასწავლიდნენ ქართულ ტრადიციებსა და ისტორიას, დღეს კი, როცა დიდი ილიას სიტყვებს ვიხსენებ, ვწერ, ვკითხულობ, ან ადამიანებისგან მესმის, თვალებს ვხუჭავ, მარჯვენა ხელს გულზე ვიდებ და ვიხსენებ მამაჩემის და ჩემ მიერ სიყვარულით წაკითხულ სიტყვებს - „მამული, ენა, სარწმუნოება“. 29 აპრილს ვიმყოფებოდი ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ საერთო სახალხო შეკრებაზე, სადაც უამრავ ხალხში მეც ვიყავი ერთ-ერთი მოქალაქე, რომელსაც უნდა, რომ საქართველო იყოს გაერთიანებული, მშვიდობიანი და დიდი ილიას სიტყვების მიმდევარი. შეკრებაზე, როგორც ბავშვობაში ჩემმა მშობლებმა მასწავლეს, მარჯვენა ხელი გულზე დავიდე და დიდი ილიას სიტყვები ვთქვი - „მამული, ენა, სარწმუნოება“. სანამ შემიძლია და სანამ ჩემს ქვეყანას დასჭირდება, ყოველთვის დავდგები სამშობლოს, საქართველოს მშვიდობის და ერთიანობის სადარაჯოზე! ასე იყო აქამდეც და ასეა ახლაც.

გიორგი რუსიეიშვილი, მოქალაქე:

- ვფიქრობ, საკუთარი აზრი და შეხედულებები ყოველთვის უნდა გამოხატო, ოღონდ ეს გამოხატვის თავისუფლება უნდა იყოს ზომიერი და არ უნდა გასცდე კანონით განსაზღვრულ წესებს. 29 აპრილს თბილისში გამართულ აქციაზე ვიყავი ჩემს მეგობრებთან ერთად. იქ იყვნენ კიდევ მთელი საქართველოდან ჩამოსული მოქალაქეები. ისინი იყვნენ, ვისაც სურვილი ჰქონდა. ამდენი ხალხი ვიდექით მშვიდობიანად, განსხვავებით იმ ადამიანებისგან, ვინც წინა დღეებში გამოხატავდა აგრესიას და სცდებოდა მშვიდობიანი აქციის საზღვრებს. როგორც უკვე ვთქვი, უნდა გამოხატო შენი აზრი ზომიერების ფარგლებში და არა - ძალადობრივად! აქციაზე მოვისმინეთ უმრავლესობის ლიდერების საჯარო გამოსვლები, მათთან ერთად ვიყავით ამდენი ხალხი და ყველა ერთიანად ვიბრძოდით იმისთვის, რომ ჩვენი მომავალი იყოს პატრიოტიზმზე, სარწმუნოებაზე, სიყვარულსა და მშვიდობაზე ორიენტირებული.

მარიამ რთველიაშვილი, მოქალაქე:

- რატომ ვიდექი საყოველთაო-სახალხო შეკრებაზე? ერს, რომელიც დაივიწყებს ისტორიას, მომავალი ვერ ექნება. როდესაც ვიღაცები ცდილობენ, რომ დაგვავიწყონ საკუთარი ტრადიციები, შეგვიცვალონ ერის მამის მიერ დატოვებული წმინდა სამება: „მამული, ენა, სარწმუნოება“, ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ ერეკლე მეფე, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი ცუდი და სამარცხვინო მონარქები იყვნენ, როდესაც ვიღაცები ცდილობენ, შეგვილახონ ჩვენი ოჯახური ღირებულებები, ევროკავშირისა და ევროპის სახელით დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი კანონი რუსულად შემოგვასაღონ, ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას უცხოეთიდან უკარნახონ, რა არის უკეთესი ჩვენი საშინაო პოლიტიკისთვის, როცა საქართველოს დროშას ძალლებს ახვევენ, ხოლო თავად ევროკავშირის დროშას ატარებენ და შეურაცხყოფას აყენებენ ყველაფერ იმას, რისთვისაც იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, მათ შორის ჩვენი მამები, ვისთვისაც თავი გაწირა გიორგი ანწუხელიძემ, შინდისის გმირებმა და სხვებმა, როდესაც ებრძვიან იმ იდეას, რისთვისაც იბრძოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზვიადისა და მერაბის თაოსნობით, როდესაც ვიღაცები ცდილობენ, ებრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს, მე უფლება არ მაქვს, არ ვიდგე ჩემი სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე, ისე როგორც ეს შემიძლია.

ბათუმის საკრებულომ 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დაამტკიცა

„კი - ევროპას, არა - რუსულ კანონს“ - ამ ბანერით მივიდნენ 30 აპრილს ოპოზიციონერი დეპუტატები ბათუმის საკრებულოს სხდომაზე, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა

დაპირისპირება წინა დღით „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებულმა აქციამ და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებულმა დებატებმა გამოიწვია. საკრებულოს დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ რევაზ ხარაზმა განაცხადა, რომ აუცილებელია არსებული მთავრობის შეცვლა, თუნდაც რევოლუციის გზით. ამაზე ნატალია ზოიძემ (პარტია „ქართული ოცნება“) უპასუხა, რომ ისინი უკვე მიეჩვივნენ ოპოზიციის რადიკალიზმს. „ოპოზიციური პარტიები ვერაფრით ეგუებიან, რომ ქვეყანაში უკვე დემოკრატიულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით, ეს კი ქართველი ამომრჩევლის გადასაწყვეტია. ვერცერთი რევოლუცია ვერ დადებს ისეთ შედეგს, რაზეც ესენი ოცნებობენ, რადგან პოლიტიკურად გაკოტრებულები არიან. რა უბედურებაა ეს აგრესიული ტერმინოლოგიით საუბარი: გადავაბრუნოთ, მოვუწოდოთ... იმდენად შესისხლხორცებული აქვთ გადატრიალების მცდელობა, რომ სხვა გზით მოსვლა ვერც წარმოუდგენიათ. სანამ ეს პარტიები არ გადაეჩვევიან ხალხთან აგრესიულ გამოსვლებს, მანამდე არ ექნებათ ხელისუფლებაში მოსვლის შანსი“, - აღნიშნა ნატალია ზოიძემ.

ბათუმის საკრებულოს დეპუტატ თენგიზ აფხაზავას თქმით, რევაზ ხარაზი არის ლევან ხაბეიშვილის გამეორება ადგილობრივ თვითმმართველობაში. „მთავრობის გადაბრუნების სურვილი სწორედ იმ ძალებს გააჩნიათ, ვინც რევოლუციის გზით არის მოსული. აქციაზე ქვეყნის რეალურმა ლიდერმა, სასახელო ქართველმა ბიძინა ივანიშვილმა ყველას გასაგონად აღნიშნა, რომ რევოლუციის მცდელობა და ოპოზიციონერების აქცია არის გარე ძალების მიერ დაფინანსებული. აი, სწორედ ამიტომ ებრძვიან ამ კანონს. საქართველოს პრემიერმა ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ დაასახელა ციფრები, რომ 80 მილიონიდან, რაც ქვეყანაშია შემოსული, ვიცით მხოლოდ რას მოხმარდა 10 მილიონი. სად წავიდა 70 მილიონი? ესაა სწორედ გასარკვევი. ეს არის ბინძური ფული და ხმარდება იმ პარტიების დაფინანსებას, რომლებიც ბრძოლას უცხადებენ ეკლესიას და ეწევიან ლგბტ პროპაგანდას. ოქტომბერში ჩატარდება მე-9 არჩევნები, რაც „ქართული ოცნებაა“ უმრავლესობაში. ყველა ჯერზე გვემუქრებიან, რომ გაგვიქნევენ პოლიტიკურ სანაგვეზე. ჯერ ქართველმა ხალხმა გამოგიცხადოთ ნდობა, მოიგეთ არჩევნები და გააუქმეთ ეს კანონი, რა პრობლემაა. გუშინ აქციაზე 300 ათასი ადამიანი იყო შეკრებილი. სწორედ ხალხი წყვეტს, ვინ მოვა ხელისუფლებაში და ვის გამოუცხადებს ნდობას“, - განაცხადა თენგიზ აფხაზავამ.

სხდომის მსვლელობისას ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ, არეულობის განსამუხტად, ცოტა ხნით შესვენება გამოაცხადა, შესვენების შემდეგ კი დღის წესრიგით გათვალისწინებული 20-ივე საკითხი დაამტკიცეს.

საკრებულომ სხდომაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დაამტკიცა. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროს ედნარ ნატარიძის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 308 727,2 ათასი ლარი, ფაქტობრივმა შესრულებამ - 343 456,8 ათასი ლარი; ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 361 377,2 ათასი ლარი, ფაქტობრივმა შესრულებამ - 337 641,2 ათასი ლარი. 2023 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევიდა მერიის სამსახურების დებულებებში, კერძოდ, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის დებულებაში, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურების დებულებებში, ასევე, მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივ სარგოებსა და საშტატო ნუსხაში. ცვლილებების მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურებში ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად შესაბამისი სამსახურების მიზნებისა და ფუნქციების, საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების ახლებური განსაზღვრა და ჩამოყალიბება, ასევე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანად ან/და ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება, შტატების გადაადგილება.

საკრებულომ ცვლილება შეიტანა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს განკარგულებაში. ცვლილების მიღება განაპირობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებამ, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს, 2024 წლის 1 ივნისიდან დანიშნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. აღნიშნულის საფუძველზე, ბათუმის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობას დაემატა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია, კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს განკარგულებაში. კერძოდ, ბათუმის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა“ და ქალაქ ბათუმის მერიას შორის 2024 წლის 16 იანვარს გაფორმებული №35 ხელშეკრულების საფუძველზე, მოხდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის მიზნით, განკარგულებით განსაზღვრული ქონების ახლად შეფასება/გადაფასება. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე (თევზის ბაზრის მიმდებარედ) არსებული 3159.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.29.10.016) საბაზრო ღირებულებად განისაზღვრა 3 191 327 ლარი, რომლის 5% შეადგენს 159 566,35 ლარს. საბოლოოდ, ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვრა 160 000,0 ლარის ოდენობით.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, საცობების თავიდან აცილებისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით, რაულ ვალენბერგისა და ჭაბუა ამირეჯიბის ქუჩებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მოძრაობა ცალმხრივი გახდა.

ცვლილებები შევიდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტებში, კერძოდ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინიშნა სამარშრუტო ხაზი №18 შემდეგი მიმართულებით: შარაშიძის, მამია ვარშანიძის, გენერალ ასლან აბაშიძის, შარტავას, აბუსერიძის, ჭავჭავაძის ქუჩები, საბაგირო, 60-წუთიანი ინტერვალით. სხდომაზე აღინიშნა, რომ ცვლილებები მგზავრთა მოთხოვნით განხორციელდა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმში ჯემალ ჯაყელისა და სიმონ ართმელაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მათსავე საცხოვრებელ სახლებზე მემორიალური დაფები განთავსდება, გ. ანწუხელიძის ქუჩისა და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის წრიულიდან მდ. ჭოროხამდე არსებულ საავტომობილო გზას ქუჩის სტატუსი მიენიჭა და დავით ართმელაძის სახელი ეწოდა.

საკრებულომ, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე განიხილა და დაამტკიცა ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმა. განკარგულების მიხედვით, გეგმარებითი ერთეული მოიცავს ოთხ მიწის ნაკვეთს და მასზე იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. საკრებულოს წევრებმა, ასევე, მხარი დაუჭირეს რამდენიმე საკითხს, რომლებიც კონკრეტულ ობიექტებზე „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებულ დროებით ხელშემწყობ ღონისძიებებს და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდას ითვალისწინებს.

ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზღვაო საკითხების სამმართველოს გენერალურ დირექტორს უნალ ბაილანს შეხვდა. პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ქვეყნებს შორის ურთიერთობების და სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრეს. ბათუმი თურქეთის საზღვაო ძალების გემების რეგულარული მასპინძელია. ვიზიტები ბათუმის პორტში და მუდმივი მხარდაჭერა სამხედრო მიმართულებით ხელს უწყობს სტაბილურობის შენარჩუნებას შავი ზღვის რეგიონში.

შეხვედრაზე ითქვა, რომ თურქეთი საქართველოს მჭიდრო პარტნიორია სხვადასხვა მიმართულებით. ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით ქვეყანა ინარჩუნებს საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორისა და ინვესტორის პოზიციას.

თორნიკე რიყვაძემ აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკასთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარება მნიშვნელოვანია რეგიონის უსაფრთხოებისთვის, ასევე, სტაბილური და მდგრადი განვითარებისთვის. შეხვედრას საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი ალექსი ახვლედიანი და თურქეთის კონსული ბათუმში რიზა ქაღან ილმაზი ესწრებოდნენ.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ქვეპროგრამის „სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოების ხელშეწყობა“ ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საჩითილე მეურნეობა დაათვალიერა და მიმდინარე პროცესებს ადგილზე გაეცნო.

შუახევის საჩითილე მეურნეობაში გამოყვანილია კიტრის, პომიდვრის, ბადრიჯნის, ტკბილი წიწაკის, ბროკოლის, ყვავილოვანი კომბოსტოს, სალათის ფურცლის და სხვა ბოსტნეულის 300 000-მდე ჩითილი.

მაისის დასაწყისიდან ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ, შეიძინონ თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ჯიშური ნიშან-თვისებების დაცვით გამოყვანილი მაღალხარისხიანი ჩითილები, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღებას.

* * *

1 მაისს ბათუმში, ევროპის მოედანზე სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები შეიკრიბნენ. ისინი ლოზუნგით „ევროპის მოედნიდან ევროპული მარშით თბილისში“ დედაქალაქში, აქციაზე გაემგზავრნენ. ორგანიზატორების თქმით, „თბილისის ძალა უკვე ნახა ბიძინა ივანიშვილმა, დროა, რეგიონებიც შეუერთდნენ“. მათივე განცხადებით, კრემლისგან შთაგონებული კანონის მიღებას ქართველი ხალხი არ შეეგუება. როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ბონდო თედორაძე აცხადებს, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს ბათუმსა და ქობულეთში გააპროტესტებენ. აქცია 1 მაისს, 19:00 საათზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობასთან გაიმართა.

გვერდი მოამზადა
ხატია იაშვილმა

რატომ ფიქრობენ ოპოზიციონერები, რომ კანონპროექტი რუსულია?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოში კვლავ განხილვის მთავარი თემაა. „ქართული ოცნება“ არ აპირებს უკვე მეორეჯერ ინიცირებული კანონის უკან გაწვევას, რასაც აკრიტიკებს ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი და საზოგადოების გარკვეული ნაწილი. ისინი ამბობენ, რომ კანონპროექტი არის რუსული, ხოლო მმართველი გუნდის თქმით, აღნიშნული კანონპროექტი ევროპულის და ამერიკულის მსგავსია

რატომ არის კანონი რუსული? - ამ კითხვით მივმართეთ აჭარაში მოღვაწე ოპოზიციური პარტიების წევრებს.

ვაშა დარჩია, პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრი:

- კანონის მიზანი სრულიად რუსულია, იგი ემსახურება ევროკავშირთან დისტანცირებას და ამას ჩვენი დასავლელი პარტნიორები პირდაპირ ადასტურებენ (შოლცი, მიშელი, სტოლტენბერგი, ბორელი, ევროპარლამენტარები). გარდა ამისა, აღნიშნული კანონი სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

ლევან გორგილაძე, პარტია „ახალის“ წევრი:

- პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ იქიდან, რომ „ქართული ოცნება“ აპელირებს, თითქოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც აქვთ მსგავსი კანონი. კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვა ქვეყნებსაც მიუღიათ, ოღონდ აქ მნიშვნელოვანია - ვის და რის წინააღმდეგ. იმ ქვეყნებმა მტრულად განწყობილი ქვეყნების წინააღმდეგ გამოიყენეს, მაგალითად, რუსეთის, ჩინეთის და ასე შემდეგ. მთავრობას სურს, მიიღოს ისეთი კანონი, როგორიც აქვთ ნიკარაგუაში, ვენესუელაში და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, რუსეთშიც. დღეს „ქართულ ოცნებას“ აქვს მცდელობა, რომ არც არასამთავრობოები იყვნენ საქართველოში და არც ოპოზიციურად განწყობილი მედიები. აღნიშნული კანონი რუსეთში განსაკუთრებით გამძაფრდა 2022 წელს უკრაინაში დაწყებული ომის შემდეგ და შეეხო ყველას, ვინც ამ ომს ეწინააღმდეგებოდა. საუბარი მაქვს რუს მოქალაქეებზე, რუს აქტივისტებზე და ასე შემდეგ. წარმოგვიდგენია, გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოშიც ერთი-ერთში რუსული კანონი რომ მივიღოთ, რა მოხდება. აღარ იქნებიან არასამთავრობოები, ოპოზიცია, აღარც - ოპოზიციურად განწყობილი მედიასაშუალებები, მაგრამ ჩვენ ახლა ვხედავთ ქუჩებში გამოსულ, დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებულ ახალგაზრდებს, რომლებმაც იციან დამოუკიდებლობის ფასი. ქვეყანაში ევროპული ღირებულებების მატარებელი ადამიანები უფრო მეტნი ვცხოვრობთ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ განზრახვას „ქართული ოცნება“ აუცილებლად გადაჭყვება.

ირაკლი ძიძიგური, ბათუმის საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“:

- პასუხი მარტივია: გვყავს რუსული მთავრობა, შესაბამისად, მისი ყველა ქმედება მხოლოდ რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებს! ცხადია, „რუსულმა მთავრობამ“ გადმოაკოპირა რუსული კანონი. თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ ტერმინთა განმარტებები, ჯარიმები, დაუგეგმავი მონიტორინგი და ყველა სხვა მუხლი ამ კანონების არათუ შინაარსობრივ მსგავსებაზე მიგვანიშნებს, არამედ პირდაპირ რუსულის ასლია. ამიტომაც აქვს საზოგადოების უდიდეს ნაწილს და ჩვენს დასავლელ პარტნიორებს ასეთი მძაფრი რეაქცია და პრინციპული პოზიცია. ეს კანონი რუსულია და მხოლოდ ერთ მიზანს - ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერებასა და ბნელ წარსულში დაბრუნებას ემსახურება.

თემურ გორგაძე, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ წევრი:

- კანონი საუკეთესოც რომ იყოს, რუსულია თუნდაც იმიტომ, რომ როდესაც კონკრეტული პარლამენტის წევრი ერთი წლის წინ დადებს პირობას, რომ აღარ დაიინიციირებს კანონპროექტს და შემდეგ სიტყვას ტეხს და მატყუარა ხდება, ეს არის პირდაპირ რუსული საქციელი. როდესაც ამბობენ, რომ დეკლარაცია უნდა ჩააბარონ არასამთავრობოებმა, ტყუილია, რადგან საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი იურიდიული პირი, შპს თუ არასამთავრობო ორგანიზაცია აბარებს შემოსავლების სამსახურში ყოველთვიურ და ყოველწლიურ დეკლარაციას. ეს ისედაც საჯაროა და იცის სახელმწიფომ. ეს კანონი მარტო საქართველოში კი არა, სხვა ბევრ ქვეყანაში მიიღება, სადაც რუსეთის გავლენა ვრცელდება. როდესაც ამბობენ, რომ სხვა ევროპულ ქვეყნებშიც არის, ტყუილია, რადგან შინაარსობრივად განსხვავებულია. მაგალითად, ამერიკული იმით განსხვავდება ქართულისგან, რომ იქ საუბარია პარლამენტში ლობიზმზე. თუ შევაჯამებთ, ხალხი რომ „გადააგდეს“ და მოატყუეს, ეს რუსული საქციელია, კანონში რაც წერია, რუსულია - ადამიანებს აგენტებად რაცხავენ და შემდეგ სურთ, არასამთავრობოების დისკრედიტაცია მოახდინონ.

„წელს სრულიად განსხვავებული არჩევნები იქნება“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოსთვის საფრთხე არა მხოლოდ მცოცავი ოკუპაცია და რუსეთის დესტრუქციული ქმედებები, არამედ არასტაბილური პოლიტიკური გარემოა, რაც ქართულ სახელმწიფოს მრავალმხრივ აზარალებს როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის, ისე ევროინტეგრაციის თვალსაზრისით

ოპოზიციის და მმართველი პარტიის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზია კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომლის ინიცირებამაც ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები გააქტიურა, ურთიერთდაპირისპირების ფაქტებიც გამოავლინა. ოპოზიცია და დასავლეთის პოლიტიკოსთა ნაწილი აკრიტიკებს ამ კანონს, რისი დასტურია ევროპარლამენტის ამასწინანდელი რეზოლუცია საქართველოსთან მიმართებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ოპოზიციაც და ხელისუფლებაც, ძალის სადემონსტრაციოდ, აქციებს მიმართავენ. როგორც ჩანს, ასეთი დაძაბული პოლიტიკური გარემო არჩევნებამდე შენარჩუნდება. ისმის კითხვა - რამდენად დემოკრატიულად მიმდინარეობს პროცესები, რა ნიუანსები იჩენს თავს? - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერ ***ლუკა ფუტკარაძს*** *ვესაუბრეთ.*

- როგორია თქვენი აზრი ქვეყანაში დღეს მიმდინარე პროცესებზე?

- 2024 წელი დაანონსებული იყო როგორც მეტად აქტიური და გარდამტეხი წელი საქართველოსთვის. მიმდინარე პროცესებით თუ ვიმსჯელებთ, იგი მართლაც გარდამტეხი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის... წელს გადავდგით პირველი ნაბიჯი ევროპისკენ, ვგულისხმობ საქართველოს ნაკრების წარმატებას ფეხბურთში და მალევე ვნახეთ მთავრობის მცდელობა, დაგვაშოროს ევროპულ გზას კვლავ რუსული კანონის შემოღებით. საინტერესოა, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესი და რა რეაქცია ექნება ევროპას ჩვენთან მიმდინარე მოვლენებზე.

- ევროპარლამენტმა საქართველოსთან დაკავშირებით რეზოლუცია რომ მიიღო, მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით?

- თუ ხელისუფლება არ შეცვლის პოზიციას მოცემულ კანონთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ მოხდება უვიზო მიმოსვლის გადახედვა და ივანიშვილის დასანქცირება, ყველაზე ცუდი კი საქართველოსთვის ის არის, რომ ალბათ გაჭიანურდება ევროინტეგრაციის პროცესი და საქართველოს კიდევ დიდხანს მოუწევს, დაელოდოს ევროკავშირის წევრობას, რაც მხოლოდ რუსეთისთვისაა მისაღები.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ, საბოლოოდ, ევროკომისია ევროპარლამენტის რეზოლუციას არ გაიზიარებს და ოპოზიციის იმედები ფუჭია...

- მმართველ პარტიას სურს, დაგვაჯეროს, რომ ევროკომისია არ გაწირავს საქართველოს ხელისუფლებას და არ დააშორებს ქვეყანას ევროპული გზიდან, მაგრამ ეს არის ილუზია, რომელსაც ისინი ქმნიან, რათა თავიც დაირწმუნონ და მხარდამჭერებიც, რომ მათი არჩეული გზა საქართველოს მოსახლეობისთვის მისაღებია.

- 29 აპრილს მმართველმა პარტიამ, ზემოაღნიშნულ კანონთან დაკავშირებით, მასშტაბური შეკრება გამართა, ამავე დროს ოპოზიციისა და ახალგაზრდების დემონსტრაციებიც იმართებოდა...

- ხელისუფლებამ კარგად დაინახა იმ მოსახლეობის ძალა, ვისაც სურს ევროპული მომავალი. როგორც 2023 წლის მარტში, ასევე წელს მმართველი პარტიის აქციებით გამოჩნდა, რომ მან იგრძნო საფრთხე, რადგან დაინახა გაერთიანებული საქართველო და ევროპული მომავლისთვის გამოსული მოსახლეობა, რაც მმართველი გუნდისა და ივანიშვილისთვის უკვე დიდი საფრთხის მომასწავებელია. შესაბამისად, ახლა ცდილობს, საკუთარ ამომრჩევლებსაც დაანახოს, რომ ისინი უკან დახევას არ აპირებენ და მათ ზურგს უკან კვლავ დგას ბიძინა ივანიშვილი და ქართველი მოსახლეობა.

- ამას წინათ მორიგი სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა. მაგალითად, „გორბის“ კვლევით, მმართველი პარტია 60 პროცენტს იღებს არჩევნებში, თავის მხრივ ISSA-ის კვლევის მიხედვით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიცხვი 31, „ნაცმოძრაობის“ - 18, „ახალი“ პარტიის კი 11 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. რას ფიქრობთ?

- ვფიქრობ, რომ ეს არის მიკერძოებული კვლევები და რეალობა განსხვავებულია. ყველაფერს წლევანდელ არჩევნებზე დავინახავთ, რადგან, ვფიქრობ, ოქტომბრამდე ბევრი რამ შეიცვლება საქართველოში.

- სხვათა შორის, მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ისინი არჩევნებში არა მხოლოდ გაიმარჯვებენ, არამედ საკონსტიტუციო უმრავლესობითაც დააკომპლექტებენ პარლამენტს.

- „ქართულმა ოცნებამ“ კარგად იცის, რომ წელს საუკუნის გამოცდა ელის და ეს გამოცდა ეხება მათი ძალაუფლების დაკარგვას, რაც ძალზე რეალურია, შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მსგავსი განცხადებებით მხოლოდ საკუთარ გუნდს და მხარდამჭერებს არწმუნებენ გამარჯვებაში.

- დღესდღეობით რა სტადიაშია ოპოზიცია?

- ვფიქრობ, ის არის განახლებისა და გაძლიერების სტადიაში. უკვე ვხედავთ ახალ სახეებს და ჩვენთვის ნაცნობი ლიდერების გააქტიურებას საიმისოდ, რომ შეიცვალოს ხელისუფლება და არ დავშორდეთ ევროპულ ოჯახს. ოპოზიციისთვის ახლა მთავარია მჭიდრო თანამშრომლობა და საერთო ძალებით ბრძოლა ამ რეჟიმის წინააღმდეგ.

- როგორც ცნობილია, თქვენმა პარტიამ („სტრატეგია აღმაშენებლი“) „ნაცმოძრაობასთან“ პლატფორმა შექმნა. ეს რა ფაქტორებმა განაპირობა?

- „სტრატეგია აღმაშენებლის“ და „ნაცმოძრაობის“ საერთო პლატფორმა განაპირობა საერთო შეხედულებებმა, თანამშრომლობამ, ინტერესებმა და ყველაზე მეტად ჩვენი პარტიის ლიდერის როლმა, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო ოპოზიციური გაერთიანების შტაბის ხელმძღვანელი. ბევრი ლიდერის გაერთიანება იძლევა საშუალებას, დაიდოს შედეგი, რაც იქნება გამარჯვება და ხელისფულების ჩანაცვლება კოალიციური მმართველობით.

- სხვათა შორის, მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ „ნაცმოძრაობა“ არჩევნებში, ძირითადად, მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსისთვის იბრძოლებს...

- მმართველ გუნდს სურს, კვლავ „ნაცმოძრაობა“ გამოიყვანოს მთავარ კონკურენტად, რათა ოპოზიციაში განხეთქილება შეიტანოს და მოსახლეობაში სიძულვილი დათესოს, მაგრამ არ გამოუვა, რადგან გაიზარდა ოპოზიციაც და ქართველი მოსახლეობაც. შესაბამისად, ხელისუფლება ცდილობს, მხოლოდ მისი გეგმით შეცვალოს მდგომარეობა, მათი მარცხი გარდაუვალია.

- თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა არჩევნებში საკუთარ გამარჯვებაზე საუბრობს... ძირითადად, რომელ პარტიებს შორის წარიმართება ბრძოლა?

- ჩემი აზრით, ბრძოლა იქნება მხოლოდ რუსულ მმართველობასა და ევროპულ მოსახლეობას შორის, რადგან წელს ყველანაირი პარტიული ამბიციები გვერდზე იქნება გადადებული, რადგან საქართველოსთვის მთავარია კი - ევროპას და არა - ყველაფერს, რაც საქართველოს რუსეთთან დააახლოებს.

> ***„სტრატეგია აღმაშენებლის“ და „ნაცმოძრაობის“ საერთო პლატფორმა განაპირობა საერთო შეხედულებებმა, თანამშრომლობამ, ინტერესებმა და ყველაზე მეტად ჩვენი პარტიის ლიდერის როლმა, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო ოპოზიციური გაერთიანების შტაბის ხელმძღვანელი. ბევრი ლიდერის გაერთიანება იძლევა საშუალებას, დაიდოს შედეგი, რაც იქნება გამარჯვება და ხელისფულების ჩანაცვლება კოალიციური მმართველობით***

იხ. მე-5 გვ.

„ექიმები კურნავენ ადამიანებს, ვეტერინარები - კაცობრიობას“

„შენ ვალდებული ხარ იზრუნო იმაზე, ვინც მოიშინაურე“, - ეს წარწერა ქალაქის ბევრი კორპუსის კედლიდან მოქალაქეებს ოთხფეხა მეგობრებზე ზრუნვისკენ მოუწოდებს, თუმცა საქართველოში, განსაკუთრებით - ბათუმში უკვე წლებია, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას მიუსაფარი ცხოველები წარმოადგენს. ქუჩაში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით კატას ან ძაღლს, რომლებიც საკვების თუ თავშესაფრის საპოვნელად მძიმე გზას გადიან. მოქალაქეების ნაწილი გაურბის და აპროტესტებს მიუსაფარი ცხოველების არსებობას, ნაწილი კი ცხოველთა უფლებებს იცავს. არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ვეტერინარი ***ირაკლი თეჯოიანი*** *გვესაუბრება.*



- ბატონო ირაკლი, რატომ და როდის გადაწყვიტეთ ვეტერინარი გამხდარიყავით?

- ბავშვობიდან მოყოლებული, ჩვენს ოჯახში უამრავი ცხოველი ცხოვრობდა. სამწუხაროდ, იმ დროისთვის ვეტერინარია არცთუ ისე გავრცელებული პროფესია იყო და მკურნალობაც ხშირად უშედეგოდ მთავრდებოდა. ხშირად, როდესაც ჩვენს ცხოველებს გარკვეული პრობლემები ექმნებოდათ, მათი დახმარება, შველა არ შემეძლო, სწორედ ამ უმოქმედობის განცდამ და ცხოველების სიყვარულმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი.

- რა სირთულეები ახლავს თქვენს საქმიანობას?

- კლინიკაში მოყვანილ ცხოველზე მთავარი პასუხისმგებელი პირი მეპატრონეა. როგორც იცით, ცხოველებს საუბარი არ შეუძლიათ, ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა სიმპტომი დეტალურად გავარჩიოთ, რის შემდეგაც ვიწყებთ გამოკვლევებს და სიმპტომატურ მკურნალობას. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც მეპატრონე ვერ გისახელებს, როდის დაეწყო უმადობა, როგორი კუჭის მოქმედება ჰქონდა და სხვა, ან მოჰყავთ ცხოველი ისეთ დროს, როდესაც მისი გადარჩენის შანსი ძალიან დაბალია.

- რა მოგწონთ ყველაზე მეტად თქვენს საქმიანობაში?

- ვეტერინარისთვის ყველაზე სასიამოვნო, რა თქმა უნდა, ნებისმიერი გადარჩენილი სიცოცხლეა. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველს საუბარი არ შეუძლია, ის მაინც ახერხებს მადლიერების გამოხატვას სხვადასხვა გზით.

- საქართველოში უამრავი მიუსაფარი ძაღლია. როგორ უნდა გადაიჭრას მათი პრობლემა?

- ამ საკითხში ჩემი აზრი სხვებისგან არ განსხვავდება. მიუსაფარი ცხოველების პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი უმთავრესი გზა მათი სტერილიზაცია-კასტრაციაა. სანამ უკონტროლო შეჯვარება არ შეწყდება, მანამდე ეს პრობლემა არ მოგვარდება. ამასთანავე, უნდა კონტროლდებოდეს ცხოველების აყვანა, გასხვისება, შეჯვარება, რადგან პატრონი ხშირად ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას შინაურ ცხოველზე, უკონტროლოდ აჯვარებს ან რაღაც დროის შემდეგ, უბრალოდ, ქუჩაში აგდებს.

- სოფლად ვეტერინარების დეფიციტია, რის გამოც უამრავი ცხოველი იღუპება. რაში ხედავთ გამოსავალს?

- საჭიროა, შემუშავდეს ისეთი კანონ-პროექტი, რომელიც ახალ თაობას ამ მხრივ ცნობიერებას აუმაღლებს და დააინტერესებს მათ ვეტერინარული სფეროთი.

- ცხოველებში დაავადებების შესამცირებლად რა მექანიზმები არსებობს?

- დაავადების დროს ცხოველებს უტარდებათ სხვადასხვა კვლევა: სისხლის ანალიზი, ექოსკოპიური, რენტგენოლოგიური კვლევები, გასტროსკოპია და სხვა. ეს მექანიზმი გვეხმარება დაავადების სწრაფ გამოვლენასა და პრობლემის დროულად აღმოფხვრაში.

- როგორ მოვიქცეთ, თუ ცხოველი ჩვენ მიმართ აგრესიულია?

- ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ცხოველს არ ვიცნობთ და არ ვიცით მისი ემოციური ფონის შესახებ, აუცილებელია, გამოვიჩინოთ სიფრთხილე. თუ ცხოველი იმყოფება პატრონთან ან შემფარებელთან ერთად, ჯერ უნდა დავკითხოთ, როგორ რეაგირებს ცხოველი სხვა ადამიანებზე, მაგრამ თუ ცხოველი მარტოა, ძალიან სწრაფად არ მივუახლოვდეთ, თავი შევიკავოთ სწრაფი მოძრაობებისგან და ხელ-ფეხის ქნევისგან, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, მშვიდი ხმით მივმართოთ ცხოველს. ხშირ შემთხვევაში, როდესაც ცხოველი ჩვენგან არ გრძნობს საფრთხეს, წყვეტს აგრესიას, რადგან ნებისმიერი აგრესია თავდაცვის ინსტინქტია.

- როგორ უნდა გავიგოთ, აქვს თუ არა ცხოველს ცოფი?

- ცოფის საწყისი ნიშნები ხშირად სხვა დაავადებათა სიმპტომებს ემთხვევა, მაგრამ ყველაზე ხშირი სიმპტომატიკა არის კუნთების ძლიერი აღგზნება, ყლაპვის რეფლექსის გაძნელება, რომლის დროსაც ცხოველს უჭირს საჭმლის და წყლის ყლაპვაც კი, ეწყება ძლიერი დორბლდენა, ასევე, ცხოველი ეძებს მყუდრო ადგილს ადამიანისგან მოშორებით, მაქსიმალურად ჩაბნელებულს.

- არის თუ არა ცხოველი ისეთი ინფექციის მატარებელი, რომელიც ადამიანზე გადადის?

- ცხოველებს და ადამიანებს გვაქვს საერთო დაავადებები. მაგალითად, კანის სოკოვანი დაავადება შეიძლება გადავიდეს ცხოველიდან ადამიანზე ან პირიქით. ნაწლავური ჭიების უმეტესობაც საერთო გვაქვს. თუ ცხოველი დაინფიცირებულია მსგავსი პარაზიტით და ადამიანს მასთან ახლო კონტაქტი აქვს, ისიც შეიძლება დაინფიცირდეს. ასევე, ყველას გვსმენია ლეიშმანიოზის შესახებ, რომელიც ადამიანსაც შეიძლება დაემართოს, ოღონდ არა პირდაპირი კონტაქტით, ამისთვის გვჭირდება „შუამავალი“ - კოღო.

- ხშირად ამბობენ, ადამიანების ჯანმრთელობა ვეტერინარებზეა დამოკიდებული, რადგან ადამიანები ხშირად ცხოველებისა თუ ფრინველებისგან ავადდებიანო. რამდენად ეთანხმებით ამას?

- ამას შემიძლია ვუპასუხო ერთი მარტივი ციტატით: „ექიმები კურნავენ ადამიანებს, ვეტერინარები - კაცობრიობას“. გარდა იმისა, რომ ადამიანებს ყოველდღიური უშუალო კონტაქტი გვაქვს ცხოველებთან, ჩვენი საკვები პროდუქტებია: ყველი, რძე, ხორცი, ასევე, სხვა ცხოველური პროდუქტები, რომლითაც სხვადასხვა დაავადება გადადის. სწორედ ვეტერინარებს აკისრიათ უდიდესი როლი ადამიანთა ჯანმრთელობაში, რადგან თუ ინფიცირებული ცხოველი ან მისი პროდუქტი ხვდება კონტაქტში ადამიანთან, სამწუხაროდ, ისიც ინფიცირდება.

- როდის საჭიროებენ ჩვენი ოთხფეხა მეგობრები ვაქცინაციას და რევაქცინაციას?

- ცხოველების ვაქცინაცია მათი სიცოცხლისთვის, ხშირად, გადამწყვეტია, რადგან სწორედ ვაქცინაცია იცავს მათ ძლიერი ვირუსული დაავადებებისგან ან ეხმარება მათ უფრო მსუბუქად გადატანაში. ლეკვების და კნუტების ვაქცინაცია იწყება 8 კვირის ასაკიდან კონკრეტული თანმიმდევრობით, ყოველწლიურად კი ხდება მათი რევაქცინაცია.

- რას ურჩევთ მომავალ ვეტერინარებს?

- დიდი სიყვარულით მოეკიდონ თავის პროფესიას და ცხოველებს, რადგან ყველა ვეტერინარს უწევს შრომატევადი და რთული გზის გავლა, რაც ცხოველის სიყვარულის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია. გირჩევთ, რა სირთულესაც უნდა შეხვდეთ პროფესიულ გზაზე, არ გაჩერდეთ, არ შეგეშინდეთ, მიიღეთ როგორც გაკვეთილი, უფრო მეტი შემართებით გააგრძელეთ თქვენი განვითარება და ცხოველების გადარჩენა - სიყვარულით.

> ***„ადამიანებს ყოველდღიური უშუალო კონტაქტი გვაქვს ცხოველებთან, ჩვენი საკვები პროდუქტებია: ყველი, რძე, ხორცი, ასევე, სხვა ცხოველური პროდუქტები, რომლითაც სხვადასხვა დაავადება გადადის. სწორედ ვეტერინარებს აკისრიათ უდიდესი როლი ადამიანთა ჯანმრთელობაში, რადგან თუ ინფიცირებული ცხოველი ან მისი პროდუქტი ხვდება კონტაქტში ადამიანთან, სამწუხაროდ, ისიც ინფიცირდება***

ბლიცინტერვიუ

„ლექსების წერის პროცესი ოკეანის შუაგულში ტივით ცურვას ჰგავს“

კოკა კოგალაძე *ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტია, რომელსაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მისმა პოეზიამ ახალგაზრდებში (და არამხოლოდ) დიდი სიყვარული დაიმსახურა. როგორც თავად გვითხრა, პოეზია ბავშვობიდან შეაყვარეს. იგი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კრებულის („საკეტშეცვლილი კარის საზღვრიდან“) ავტორია, რომელიც 2020 წელს გამოიცა. დღეს ის ჩვენს კითხვებს პასუხობს.*

- ვინ ვარ და ვინ მინდოდა ვყოფილიყავი...

- სუპერგმირობა მინდოდა და პოეტი გავხდი (დავიბადე).

- ბავშვობა არის...

- რაც ადამიანმა უნდა შეიგრძნოს და სწრაფად არ გაიზარდოს.

- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია...

- ხშირად უმნიშვნელო ხდება, ყველაფერი შედარებითია.

- ყველაფერი დაიწყო აღქმით, რომ...

- სიბრაზესაც და სიყვარულსაც გამოხატვა სჭირდება.

- ცხოვრება ჰგავს...

- ველოსიპედით სიარულს.

- ბევრჯერ მიფიქრია...

- რა შეიცვლებოდა, ისეთი ადამიანები რომ არ მყოლოდა გვერდით, როგორიც მყავს.

- ვნანობ...

- ძალიან ბევრ რამეს, უფრო კონკრეტულად - დროის დაკარგვას და, საერთოდ, სინანული გვაქცევს უკეთეს ადამიანად.

- დამსხვრეული სტერეოტიპები...

- „ქალი სუსტია“ - ყველაზე დიდი ნამსხვრევები ამას მოჰყვა.

- სამყაროს აღქმის ჩემეული ემოცია...

- ფერებთან ასოცირდება და ადამიანი იმას ხედავ, რაც შენშია.

- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...

- არის ავტოკალამი.

- სიყვარული რომ არ ყოფილიყო...

- აზრი არაფერს ექნებოდა.

- ყველაზე დიდი იმედგაცრუება...

- ყველაზე დიდი სიახლოვიდან მოდის.

- მუსიკა ჩემს პოეზიაში...

- მეტწილად კლასიკაა.

- წიგნი, რომელშიც საცხოვრებლად გადავიდოდი...

- მურაკამის - ნებისმიერი.

- არასდროს...

- დაკარგო საკუთარი თავი.

- ერთ დღესაც გათენდება და...

- ყველაფერი დასრულდება.

- სევდას მგვრის...

- ამინდი.

- ჩემზე ამბობენ...

- თრობის საშუალებებთან ახლობლობსო, არადა, არც გამისინჯავს.

- რა ფერი აქვს სიკეთეს?

- იასამნისფერი.

- დავიწყება რომ შემეძლოს...

- ნაცრისფერ დღეებს დავივიწყებდი.

- ფობია...

- მაქვს ფობიის.

- მენატრება...

- ბებო.

- ბოლოს წავიკითხე...

- „სტამბოლელი ნაბიჭვარი“.

- ვიმოგზაურებდი...

- რენესანსის პერიოდში.

- ლექსების წერის პროცესი ჰგავს...

- ოკეანის შუაგულში ტივით ცურვას.

- მავსებს...

- ღამე.

- ამოჩემებული ფრაზა...

- „გამიგე შენ?“.

- ცრემლებს ვერ ვიკავებ, როცა...

- სენტიმენტალურ მომენტებს ვაწყდები.

- საკუთარ თავში შევცვლიდი...

- გულუბრყვილობას.

- ლექსი, რომელიც ყველაზე მეტად მგავს...

- ყოველი ბოლო ლექსი.

- შთაგონების წყარო...

- ტკივილი.

- ვაპროტესტებ...

- ყველაფერს, რაც ჩვენს ღირსეულ მომავალს ეწინააღმდეგება. უსამართლობას ვაპროტესტებ, სადაც არ უნდა ვიყო. ჩემი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ვალია, ვიყო იქ, სადაც ქვეყნისთვის გადამწყვეტი რამ ხდება.

- საყვარელი პოეტი...

- ტერენტი გრანელი.

- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

- საკუთარ თავთან „შეხვედრის“ დღე.

- მწამს...

- ღმერთის, ვგრძნობ ყოველთვის.

- ადამიანი ადამიანისთვის...

- სამყაროა.

- ყველაზე დიდი ჯილდო...

- ხალხის სიყვარული.

- ქალი...

- ყველაფერ გრანდიოზულის სათავეა.

- ყოველთვის ერთნაირად აღმაფრთოვანებს...

- ადამიანის უსასრულობა.

- თავისუფლება არის...

- ეგოს უარყოფა.

- გზავნილი სამყაროს...

- სიყვარული.

- ჩემზე არავინ იცის, რომ...

- ბავშვობაში დურგლობა მინდოდა (იცინის).

- მჯერა...

- სიყვარულის.

- მომავლის კადრი...

- სიმშვიდე.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- აქაც - სიმშვიდე.

- მას ვეტყვი, რომ...

- ყველაფერი დროებითია.

- ექსპრომტად...

- თუ პოეტი ხარ, მეტად
გმართებს პასუხისგება,
რომ შენს გამოთქმას არ
დაედოს ოდესმე ვადა.
ამის გამო, თქმას კი არა, ცრუ
აზრს ებრძოლე,
რომ არ დარჩე ხავსმოდებულ
ოთახის კართან.

გვერდი მოამზადა
მარიამ ხითარიშვილმა

მისი სადარი დირექტორი ძნელად მოიძებნება

ადამიანთა ერთ ნაწილს უფალი საშუალებას აძლევს, ბოლომდე დაიხარჯოს ქვეყნის სამსახურში და წუთისოფლიდან ვალმოხდილი წავიდეს. ჯაბნიძეებელ სულიკო უსტიაშვილს ამის შესაძლებლობა არ მიეცა - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, 1995 წლის 25 იანვარს, ტრაგიკულად დაიღუპა

მხოლოდ 46 წელი იცოცხლა. დროის ამ მონაკვეთში მაინც ბევრის გაკეთება მოასწრო. სულიკოსა და მის მეგობრებს ეამაყებოდათ, რომ ისინი ჯაბნიძეების საშუალო სკოლის პირველი კურსდამთავრებულები იყვნენ. ეს სიამაყე ტკივილმა გადაფარა, როცა თანაკლასელებმა იმიერში პირველად სულიკო გააცილეს, თანაც იმ დროს, როცა იმ სკოლის დირექტორი იყო, რომლის კედლებშიც დედაენის სიყვარულს ეზიარა. შადიმან, დიმიტრი უსტიაშვილების, ნოდარ, ლევან, ზინა თავდგირიძეების, შოთა, შალვა ივანაძეების აღზრდილმა პირველი კლასიდანვე მიზნად დაისახა, ქართული ენის სადარაჯოზე დამდგარიყო და თაობები შოთა რუსთაველის, ილიას, ვაჟას, აკაკის, გოგლასა და გალაკტიონის იდეებით ესაზრდოებინა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილების 30-ზე მეტი სტუდენტიდან სულიკო იყო ერთადერთი, რომელმაც ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა. ამ დროს მას უკვე მშობლიურ სკოლაში სპეციალობის მიხედვით მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება ჰქონდა.

ინსტიტუტის დამთავრებიდან 3 წელი იყო გასული, როცა აჭარის განათლების სამინისტრომ ატესტაციის შედეგად მიღებული მაღალი მაჩვენებლებისა და პედაგოგიურ საქმიანობაში მიღწეული კარგი შედეგისთვის სულიკო საპატიო სიგელით დაჯილდოვა. ეს წარმატება ახალბედა პედაგოგს პირადი წერილით მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მაშინდელმა მინისტრმა ვახტანგ წულუკიძემ.

სულიკოს საყვარელი აღმზრდელი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნოდარ თავდგირიძე ერთ-ერთ წარმატებულ მასწავლებლად ითვლებოდა შუახევის რაიონში. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჯაბნიძეების საშუალო სკოლას. აღმზრდელისთვის დიდი პატივი იყო, რომ მისი ყოფილი მოსწავლე 1986 წლიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, უმწიკვლოდ და პროფესიულ დონეზე უძღვებოდა სკოლას. ნოდარისა და სულიკოს მოსწავლეები იყვნენ შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი პედაგოგი და მეცნიერი ანზორ აბუსერისძე, მწერალი და მეცნიერი ნიაზ ზოსიძე, ცნობილი პედაგოგი, ფილოლოგი ნუგზარ ზოსიძე და კიდევ მრავალი.

სულიკო უსტიაშვილისა და შუახევის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელების იოსებ ხიმშიაშვილის, ვლადიმერ მამულაძის, ალექსანდრე ჯიბლაძისთვის დიდი გამოცდა იყო ხანძრის შედეგად იავარქმნილი ჯაბნიძეების სკოლის შენობის ადგილზე ახლის აშენება. თავი არ შეურცხვენიათ და მშენებლობა დათქმულ ვადებში დაასრულეს. ეს გარჯა სკოლის დირექტორს დაუფასეს კიდეც, საქართველოს და აჭარის განათლების სამინისტროებმა მედლით დააჯილდოვეს როგორც წარჩინებული დირექტორი და სანიმუშო ორგანიზატორი. ჯილდო ახალი შენობის საზეიმოდ გახსნის დღეს გადასცეს. ცერემონიას აჭარის ავტონომიური რასბუბლიკის პირველი პირებიც ესწრებოდნენ.

1989 წლის მარტ-აპრილში განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა სკოლის შენობასაც ბზარები გაუჩინა. სულიკოს ორგანიზატორული ნიჭი, საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება მაშინაც გამოჩნდა. კვალიფიციური სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე, სკოლის შენობას ერთი ნაწილი „ჩამოხსნეს“ და სასწავლო პროცესი ნორმალურად გააგრძელეს.



სოფელი, საზოგადოება სოფლის სკოლის დირექტორისგან ყოველთვის ბევრს ითხოვს. ის მარტო პედაგოგიური კოლექტივის ხელმძღვანელობით, მოსწავლეებთან აღმზრდელობითი საქმიანობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მისი ვალია, იყოს სოფელში მოსული სტუმრის კეთილი მასპინძელი, გაიაზროს და გაითავისოს მოსახლეობის პრობლემები. სულიკო ამ მიმართებითაც გამორჩეული და მისაბაძი იყო.

წარმატებულ დირექტორს, კვალიფიციურ, პროფესიონალ მასწავლებელს ხშირად იწვევდნენ ბათუმის უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ხელმძღვანელები მისაღები გამოცდების კომისიების წევრად. ობიექტურობა, აბიტურიენტის ცოდნის საფუძვლიანი შეფასება მას კიდევ მეტ ავტორიტეტს უხვეჭდა. მისი ობიექტური შეფასების საფუძველზე მრავალი ახალგაზრდა სასურველ სპეციალობას ეზიარა და ახლაც წარმატებული სპეციალისტის სახელით მოდის.

სულიკო უსტიაშვილი თანასოფლელ ქსენია მუკუტაძესთან ერთად, ორ ვაჟს მირზას და ფრიდონს ზრდიდა. დღეს მირზა სამართალდამცავ ორგანოებში საქმიანობს მაიორის წოდებით. ფრიდონი კერძო სექტორშია დასაქმებული. სულიკო რომ ცოცხალი ყოფილიყო, შვილების წარმატებითა და შვიდი შვილთაშვილით იამაყებდა. ქსენიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ობლად დარჩენილ შვილებს მაზლებთან, შადიმანთან და გურამთან, ერთად მზრუნველობა არ მოაკლო.

6 მაისს სულიკო უსტიაშვილს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდებოდა. მისი საქმე და სახელი რომ ცოცხლობს საზოგადოებაში, ამის დასტურია ისიც, რომ გაჩნდა იდეა, სკოლას, სადაც მან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად თითქმის მეოთხედი საუკუნე იმუშავა, ხოლო დირექტორად - 9 წელი, მისი სახელი მიენიჭოს. ეს აზრი ბევრმა გაიზიარა.

თეიმურაზ დავითაძე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მენტორი: - სულიკო უსტიაშვილი საქართველოსთვის ძნელბედობის წლებში ჯაბნიძეების სკოლას ხელმძღვანელობდა. მაშინ შუახევის რაიონის განათლების განყოფილების გამგის პოზიციაზე ვმუშაობდი. მისი სადარი დირექტორი ერთეულები გვყავდა. ის მენეჯერობას წარმატებული პედაგოგის სახელსაც უთავსებდა, ღირსეულად აგრძელებდა წინამორბედების გზას. მისი აღზრდილები ახლა ეროვნული მეურნეობის, მეცნიერების სარბიელზე არიან. მხარს ვუჭერ იდეას, რომ ჯაბნიძეების საჯარო სკოლას სულიკო უსტიაშვილის სახელი მიენიჭოს. კარგია, როცა სკოლას ღირსეული, ღვაწლმოსილი ადამიანის სახელს ანიჭებენ, მაგრამ, პირველ რიგში, იგი განათლების სფეროში მომუშავე ადამიანის სახელს უნდა ატარებდეს, რის მაგალითადაც ფურტიოს სკოლა გამოდგება - მას ასევე ცნობილი დირექტორისა და პედაგოგის ლევან ბერიძის სახელი მიანიჭეს.

ლევან ნატარიძე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების შუახევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე: - სულიკო ჩემი თაობის პედაგოგი და სკოლის ხელმძღვანელი იყო. ჩვენ ერთად ვსწავლობდით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. საკანდიდატო მინიმუმიც ჩაბარა, მაგრამ დისერტაციის დაცვა აღარ დასცალდა. მისი ტრაგიკულად დაღუპვა პედაგოგიური საზოგადოებისთვის დიდი დანაკლისი იყო. მისი ღვაწლის დაფასება იქნება, თუ ჯაბნიძეების საჯარო სკოლას სულიკო უსტიაშვილის სახელს მიანიჭებენ.

ნოდარ ზოსიძე, პენსიონერი პედაგოგი: - 9 წლის განმავლობაში სულიკო დირექტორი იყო, მე მისი მოადგილე - სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ყველაზე უკეთ მე ვიცი, ვინ იყო სულიკო უსტიაშვილი და რა სახელი დატოვა წუთისოფელში. ის სოფელს უყვარდა, პედაგოგები მის გამოცდილებას ვიზიარებდით. მე მრავალთა აზრს ვუერთდები - ჯაბნიძეების საჯარო სკოლა იქნება ის საგანმანათლებლო კერა, რომელიც შეძლებს, ღირსეულად ატაროს სულიკო უსტიაშვილის სახელი.

> ***„მხარს ვუჭერ იდეას, რომ ჯაბნიძეების საჯარო სკოლას სულიკო უსტიაშვილის სახელი მიენიჭოს. კარგია, როცა სკოლას ღირსეული, ღვაწლმოსილი ადამიანის სახელს ანიჭებენ, მაგრამ, პირველ რიგში, იგი განათლების სფეროში მომუშავე ადამიანის სახელს უნდა ატარებდეს, რის მაგალითადაც ფურტიოს სკოლა გამოდგება - მას ასევე ცნობილი დირექტორისა და პედაგოგის ლევან ბერიძის სახელი მიანიჭეს***

„შვილებს აკვანშივე ქართული სიტყვებით ვეფერებოდი“

ბაშკირელი ნეფისა ზარიფოვისა და მირგან მურსაიდოვის ოჯახში ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი იზრდებოდა. ერთმა მათგანმა - ***ზოხრა მურსაიდოვამ*** *სოფლის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში, პროფესიულ სასწავლებელში გაგრძელა სწავლა. იგი ბუღალტრის სპეციალობას დაეუფლა. 20 წლის იყო, როცა შუახევის რაიონის სოფელ კობალთის მკვიდრი იაშა ქიძინიძე გაიცნო. ქართველი ჭაბუკი იმ დროს ბაშკირეთში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა. ახალგაზრდებს ერთმანეთი გაცნობისთანავე შეუყვარდათ. მალე 60 წელი შესრულდება, რაც ზოხრა კობალთელთა რძალია. იგი თავის ცხოვრებაზე გვესაუბრება.*

- მშობლებს სიყვარულსა და კეთილდღეობაზე დაფუძნებული ოჯახი ჰქონდათ. იაშამ პირველი შეხვედრიდანვე დაიპყრო ჩემი გული. წუთითაც არ დავფიქრებულვარ, როცა ხელი მთხოვა და საქართველოში წამოსვლა შემომთავაზა. მშობლებისთვის, რომლებიც ქართველებს მხოლოდ წიგნებიდან იცნობდნენ, რთული იყო შვილის ასე შორს გამოთხოვება, მაგრამ სიყვარულს წინააღმდეგობა აღარ გაუწიეს.

- მთის სოფელთან შეგუება, ქართული ენის შესწავლა არ გაგიჭირდათ?

- მეუხერხულება, 80 წელს მიტანებული ქალი სიყვარულზე ამდენს რომ ვსაუბრობ, მაგრამ იაშას საკუთარ თავზე მეტად ვაფასებდი. იგი თავისი ქცევით, ჩემდამი თბილი დამოკიდებულებით ამას იმსახურებდა. მთის სოფელში ფიზიკურ შრომას არ გავურბოდი, მოწინავე კოლმეურნე ქალების რიგებში ვიყავი. ჩემთვის და მოსიყვარულე ოჯახისთვის, თუნდაც ჩემი მეორე სამშობლოსთვის დიდ და უძვირფასეს საჩუქრად 4 ვაჟისა და 2 ქალიშვილის დედობას მივიჩნევ. ქიძინიძეთა გვარს 4 გვარის გამგრძელებელი შევმატე. თუ გიყვარს, ხალისი გემატება, დაუძლეველი არაფერია. ორი წლის განმავლობაში ქართულ ენას აჭარული დიალექტითა და რუსული აქცენტით დავეუფლე. ამას მთელ კობალთას ვუმადლი. ნადში (მამითადი) რომ მივდიოდით, ქალები მაშინაც ქართულ ენას მასწავლიდნენ.

- 13 წლის წინ ერთგული თანამეცხედრე გარდაგეცვალათ... როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება?

- 6 შვილის, 16 შვილიშვილის, 20 შვილთაშვილის მომსწრე ვარ. საქართველოს ცის ქვეშ ვეფერები მათ. შვილებით, მათი შთამომავლების კეთილი საქმეებით ვამაყობ, მაგრამ იაშას წუთისოფლიდან წასვლამ მოუშუშებელი ტკივილი დამიტოვა. ქართულს მისი დახმარებით ვსწავლობდი, თავისუფალ დროს „დედაენასაც“ მოიშველიებდა. დედების უმრავლესობა ყოველთვის ცდილობს შვილებს მისი ენა ასწავლოს. იაშას, კობალთელი მეზობლების გულისხმიერმა დამოკიდებულებამ განაპირობა, რომ შვილებს აკვანშივე ქართული სიტყვებით ვეფერებოდი. ბუდიდან აფრენილი ბარტყებივით დამეფანტნენ. ხან წალკაში ვარ ლიასთან, ხან ბათუმში თემურისთან, არც კობალთასა და კობალთელებს ვივიწყებ. უფალს მადლობა, რომ ყველა შთამომავალი სახეზე მყავს.

- ბაშკირეთში, წინაპრების საფლავებიც მიხედვას ითხოვს...

- მშობლები, 1 და და 2 ძმა გარდამეცვალა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საზღვრების გამიჯვნის შემდეგ, მე აქეთ დავრჩი, წინაპრების საფლავები და ცოცხალი დედმამიშვილები - იქ. ჩემს მსგავსად, მრავალ ადამიანს რუსეთის ტერიტორიაზე ვიზის გარეშე გადაადგილება შეზღუდული აქვს. ეს სათქმელად იოლია, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, რთულია. ამ ასაკშიც კი დიდი სურვილი მაქვს, ერთხელ კიდევ შევავლო თვალი იმ ტრამალებს, ისტორიული ქალაქის - უფას ღირსშესანიშნაობებს. როცა რაღაცა აკრძალულია, ის უფრო მიმზიდველი ხდება. იმედს ვიტოვებ, ხალხი ისევ გაუგებს ერთმანეთს, პოლიტიკას ადამიანის სიყვარულს არ გადააყოლებს და ჩემი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები ერთხელ მაინც იმ ადგილებს მოინახულებენ, სადაც მათმა დედამ, ბებიამ წლები გაატარა.

- უმტკივნეულო და უდარდელი ცხოვრება ნამდვილად არ გქონიათ. საქართველოში ახლანდელ მდგომარეობას როგორ აფასებთ?

- 4 ვაჟის დედას გული საგულეს არ მქონდა, როცა საქართველოს მოუწოდებდნენ, უკრაინის მსგავსად, რუსეთთან ომში ჩართულიყო. მიხარია, რომ გონიერებამ გაიმარჯვა და 2008 წლის აგვისტოს ომის მსგავსი მოვლენები ჩემს მეორე სამშობლოს თავს ვეღარ მოახვიეს. მრავალი განსაცდელი გამოვიარე, ახლა ტკბილი დღეების მოლოდინში ვარ.

- ამ ტკბილ დღეებში ჩაიწერება თქვენი იუბილეც, რომელიც ახლა გადაგიხადეს...

- კი. საზღვრები გახსნილი რომ ყოფილიყო, ბაშკირეთიდან ახლობლებსაც მოვიპატიჟებდი. 8 ათეულ წელს მიტანებულ ქალს ყველა მენატრება. არ მინდა წუთისოფლიდან ისე წავიდე, რომ ერთხელ მაინც არ შევავლო თვალი ნანატრ ადგილებს. ნუ გამკიცხავთ ასაკში შესულ ადამიანს, სურვილები მოძალებული რომ მაქვს.

> ***„6 შვილის, 16 შვილიშვილის, 20 შვილთაშვილის მომსწრე ვარ. საქართველოს ცის ქვეშ ვეფერები მათ. შვილებით, მათი შთამომავლების კეთილი საქმეებით ვამაყობ, მაგრამ იაშას წუთისოფლიდან წასვლამ მოუშუშებელი ტკივილი დამიტოვა. ქართულს მისი დახმარებით ვსწავლობდი, თავისუფალ დროს დედაენასაც მოიშველიებდა***

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„საპატიო ბათუმელობა წოდებათა შორის უმაღლესია“

მანანა ბიბიშვილი 598 24 94 97

27-28 აპრილს ჩვენს ქალაქში „ბათუმობა“ აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით არაერთი ღონისძიება გაიმართა, რომელთა ძირითადი არეალი ბათუმის ზღვისპირა პარკი იყო

ქალაქის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათთან - კოლონადებთან საპატიო ბათუმელები დაასახელეს...

ამ საპატიო წოდების მფლობელებს ჯილდო მიულოცეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა, ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა ტიტე არაშიძემ, ბათუმის მერის მოადგილე სოფო ხალვაშმა.

წელს საზეიმო ვითარებაში 21 ბათუმელს გადასცეს ამ საპატიო ტიტულის დამადასტურებელი დიპლომი. დაჯილდოებულთა შორის არიან რამაზ (გიო) სარჯველაძე, დეკანოზი შიო (შოთა) პაიჭაძე, ავთანდილ ცხადაძე, გურამ ბაკურაძე, თეიმურაზ შალვაშვილი, ნოდარ კახიძე, ვლადიმერ ბალაძე, ოთარ დიოგიძე, აკაკი ნინიძე, ბესარიონ ჭყონია, არჩილ ირემაძე, ნაზი ყურშუბაძე, როსტომ ცინცაძე, კახა შარაშიძე, ნანა საყვარელიძე, რუსუდან შავიშვილი, თენგიზ შამილაძე, ბელა ქებურია, დუგლას კომახიძე, ვახტანგ ჩახვაძე, ზაზა ფალავანდიშვილი.

ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდებით დაჯილდოვდნენ თამაზ შილაკაძე და ნიკოლოზ წულუკიძე.

„ბათუმობის“ მეორე დღეს გალაკონცერტი გაიმართა, რომელიც ნიკოლოზ წულუკიძეს მიჰყავდა. კონცერტში ბათუმელი და თბილისელი ხელოვანები მონაწილეობდნენ, მათ შორის ეკა მამალაძე, თამარ გვერდწითელი, სოფო ხალვაში, კონსტანტინე ყიფიანი, ზვიად ბოლქვაძე, ნიკო ბერიძე, ბათუმის ქალთა კამერული გუნდი, ბაჩო ნაკაშიძე, ეთერ ხალვაში, სულხან დევაძე, აჩიკო გოგიტიძე, თამთა ხუხუნაიშვილი, გიორგი სუხიტაშვილი, ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის ვაჟთა ვოკალური ჯგუფი. სწორედ ამ კონცერტის ბოლოს დააჯილდოვა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა ნიკოლოზ წულუკიძე.

გთავაზობთ ბათუმელებისა და ქალაქის სტუმრების შთაბეჭდილებებს.

ავთანდილ ცხადაძე:

- აქ დავიბადე და გავიზარდე. ჩემთვის ბათუმი სიცოცხლეს, სიხარულს, ადამიანების ურთიერთსიყვარულს ნიშნავს. საპატიო ბათუმელობა ჩვენი - ვეტერანების ღვაწლის, შრომის წარმოუდგენლად დიდი დაფასებაა. მადლობა ქალაქის მერიას, კომისიის ყველა წევრს, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი არ დაივიწყეს.

ბელა ქებურია, პოეტი:

- ვფიქრობ, უკვე თავად ბათუმელობაა საპატიო. ყველაზე დიდი, თბილი, ღრმა გულისა და დიდი სიყვარულის ქალაქია ბათუმი. ეს ისეთი „დაავადებაა“, ერთხელ თუ „შეგეყარა“, თუნდაც სადმე წახვიდე, გული სულ ბათუმისკენ მოგიწევს. ხანდახან რამდენიმე დღით მიწევს ქალაქიდან გასვლა და, როცა მოვუახლოვდები, პულსი მიჩქარდება. ეს უდიდესი განცდაა. საპატიო ბათუმელობის ჩემთვის მონიჭების შესახებ რომ გავიგე, სიხარულთან ერთად პასუხისმგებლობის უმაღლესი განცდა ვიგრძენი - თუკი რაღაც გავაკეთე და ჩემმა ქალაქმა ამხელა დაინახა, ესე იგი, ამიერიდან უფრო მეტი უნდა გავაკეთო... მადლობა ბათუმს, ბათუმელებს, იმ ადამიანებს, რომლებმაც წარმადგინეს და ასეთი სიხარული მაჩუქეს. განსაკუთრებული მადლობა ჩემს მეორე ოჯახს - მწერალთა სახლს, ყველას, ვინც კომისიაში მონაწილეობდა.

ნაზი ყურშუბაძე, ექიმი:

- ძალიან ემოციური და ბედნიერი დღეა ჩემთვის. ბათუმელობით ყოველთვის ვამაყობდი, მაგრამ იყო საპატიო ბათუმელი, ძალიან დიდი ჯილდო და ბათუმელებისთვის წოდებათა შორის უმაღლესია. დღეს უზომოდ ბედნიერი ვარ და ამ სითბოსთვის, სიყვარულისთვის, დაფასებისთვის ჩემს ბათუმს და ბათუმელებს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო.

დეკანოზი შიო (შოთა) პაიჭაძე:

- სასიამოვნო კია, მაგრამ უფრო, ალბათ, პატივი და ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ეს მარტო ჯილდო არ არის. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას არც გავურბივარ. ამჟამად, სოციალურ საწარმოში 46 ბავშვს, შშმ პირებს, ვასწავლი ხის მხატვრულ დამუშავებას, ფერწერას და კერამიკას (ზოგს - წმ. ბარბარეს ეკლესიაში და ზოგსაც - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში). ჩემთან ერთად რამდენიმე სტუდენტი ასწავლის. ხშირად ვაწყობთ ამ ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვებს.

სოფო ხალვაში, მომღერალი:

- ორი დღის განმავლობაში „ბათუმობა“ ტარდება ჩვენს ქალაქში და ვფიქრობ, სასიამოვნო იყო ყველასთვის - მონაწილეებისთვის და იმათთვისაც, ვისაც სურდა თავისი პატარა წვლილი მაინც შეეტანა დღესასწაულში. გამოვყოფ გალაკონცერტს. სიმღერების მეტი წილი კონკრეტული ვერსიებით ბათუმისთვის დაიწერა იმ მომღერლებისთვის, რომლებიც დღეს გამოვიდნენ. გალაკონცერტის ბოლოს გაჟღერებულმა სიურპრიზმა, ვფიქრობ, ყველა გაახარა. ყველას ვულოცავ. მომავალშიც ერთად აღგვენიშნოს „ბათუმობა“ თბილი ურთიერთობებით და სიყვარულით.

ნიკოლოზ წულუკიძე:

- ვფიცავ ჩემს სესილიას, პირველად მართლა აქ გავიგე, ეს წოდება რომ მომანიჭეს, სრულიად მოულოდნელი იყო, ყველას სახელ-გვარს ველოდებოდი და ნაკლებად - ჩემს, გული ამიჩქარდა... დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ... არ „გავიპრანჭები“ და ვიტყვი, რომ ძალიან, ძალიან გამიხარდა. ღმერთმა შემაძლებინოს, რომ ეს საპასუხისმგებლო თამასა, რასაც ბათუმის საპატიო მოქალაქე ჰქვია, ღირსეულად ვატარო, უღრმესი მადლობა, - გვითხრა ნიკოლოზ წულუკიძემ მას შემდეგ, რაც ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, კონცერტის ბოლოს, ეს სიურპრიზი გააჟღერა - ნიკოლოზ წულუკიძეს ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ვულოცავთ მას ამ წოდებას, რომელმაც ბათუმელებიც გულით გაგვახარა...

თამარ გვერდწითელი:

- საუცხოო, გულს და სულს რომ ესალბუნება, ისეთი დღესასწაულია იმიტომ, რომ თავად ქალაქია ასეთი. პირადად ჩემთვის ბათუმი ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან 2011 წელს აქ მაესტრო მიშელ ლეგრანისა და ჩემი სოლოკონცერტი გაიმართა, ეს იყო საოცარი დღესასწაული და, ალბათ, ბათუმის პუბლიკამ და მე ახალი დროის აღრიცხვა მაშინ დავიწყეთ. მართლაც დაუვიწყარი და შესანიშნავი მუსიკის დღესასწაული იყო. „ბათუმობაზე“ რომ მომიწვიეს, ვარ ძალიან ბედნიერი, მადლიერი. ყოველთვის მზად ვარ, აქ ჩამოვიდე და ვიმღერო, შევხვდე ისეთ მსმენელს, რომელსაც ასე ვუყვარვარ და სჯერა ჩემი. დიდი მადლობა. ყველა ბათუმელს - მშვიდობა და ბედნიერება.

არჩილ ჩიქოვანი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი:

- მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც აქ მობრძანდით ამ ორდღიანი, შესანიშნავი ზეიმისათვის და ერთად აღვნიშნეთ ეს დღესასწაული. მადლობა, ვისაც ეს ქალაქი უყვარს, აქ შეკრებილ საზოგადოებას, თითოეულ ხელოვანს, ვინც თავისი ნიჭით კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა მსმენელი, დააფასა ჩვენი ქალაქი და ჩვენთან ერთად აღნიშნა „ბათუმობა“. დღეს საპატიო ბათუმელები და ბათუმის საპატიო მოქალაქეები დავაჯილდოვეთ და, რომ იტყვიან, „ტკბილი ლუკმა“ ბოლოსთვის შემოვინახეთ - მინდა, ჩვენი სიურპრიზი გავაჟღერო: ჩვენს ქალაქზე შეყვარებული, ბათუმში დაფრთიანებული კაცი, რომელმაც მთელი ბავშვობა აქ გაატარა, ცნობილი ტელეწამყვანი, კინომოყვარული, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე დავაჯილდოო ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდებით. დღეს ქალაქი უბრუნებს მას იმ დიდ ღვაწლს, რაც ერისთვის, ქვეყნისა და ამ ქალაქისათვის გაიღო.

ეკა მამალაძე, მომღერალი:

- მახსოვს, ბავშვობიდან, როცა აქ ბებიას და დედას მოვყავდი, ბულვარში მასეირნებდნენ. ბათუმი ჩემთვის სწორედ ამ ბულვარსა და „ინტურისტთან“ იყო ასოცირებული. რაც შეეხება „ბათუმობას“, ჩემთვის დიდი პატივია, რომ მომიწვიეს. პირველად ვარ „ბათუმობაზე“ და ძალიან მიხარია, რომ თქვენთან ერთად აღვნიშნავ. სხვათა შორის, როცა წლების წინ ჯანსუღ კახიძემ „სიმღერა ბათუმზე“ დაწერა, მე და ჯანსუღმა შევასრულეთ. იცით, „ცისფერო და ვარდისფერო ბათუმო“ ჰიმნივით იყო და ძალიან მეამაყებოდა, რომ ბათუმზე ასე ვმღეროდი და თავად ჯანოსაც ჰქონდა სიამაყის განცდა, მაგრამ მერე წლები ისე გავიდა, ერთად ვერ შევასრულეთ.

ზვიად ბოლქვაძე, მომღერალი, მუსიკოსი, კომპოზიტორი.

- ყველას ვულოცავ „ბათუმობას“. ჩემთვის ბათუმი არის სახლი, ოჯახი, სამშობლო... ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ბავშვობასთან, საუკეთესო მოგონებებთან. აქ ჩემი წინაპრებია, ძალიან დიდი სიყვარული, მოგონებები... ბევრი ისეთი რამ, რის გარეშე შეუძლებელია, ერთი წამითაც კი ვიარსებო, ამიტომ ვთვლი, რომ ბათუმი ჩემთვის, მართლაც, ყველაფერია. ჩემს ქალაქს ყველაფერი საუკეთესო მინდა ვუსურვო. თუ რამ შემიძლია, ამ ბათუმურ ურთიერთობებს ერთი, თუნდაც ძალიან პაწაწინა სიკეთე შევმატო, ჩემი თავი ენაცვალოს.

იხ. მე-9 გვ.

ბათუმმა ანზორ ერქომაიშვილს თავისი სიტყვა უთხრა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმში ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საგუნდო დირიჟორი ანზორ ერქომაიშვილი გაიხსენეს

საღამო აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „არსიანის“ ორგანიზებითა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. კიდევ რამდენიმე მხარდამჭერს შორის გაზეთი „აჭარაც“ იყო. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო პროფესიული თეატრის ფოიეში, სადაც ღონისძიება ჩატარდა, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ მუზეუმში შენახული ერქომაიშვილების საოჯახო არქივის ფოტოგამოფენა მოეწყო.

მაყურებლის წინაშე აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“, აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“, ბათუმის კულტურის ცენტრის ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლი, მომღერლები მარიამ ერქომაიშვილი და ლუკა ჭანიშვილი წარსდგნენ. საღამოს ნიკოლოზ მესხორაძე უძღვებოდა.

ამ ძალიან თბილ და ემოციურ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს ანზორ ერქომაიშვილის, როგორც ფოლკლორისტის, ხალხური სიმღერის შემკრების, მუსიკოსის შემოქმედებასა და ღვაწლზე. განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი ხალხური სიმღერების, უძველესი ჩანაწერების აღდგენა-ჩაწერაში.

ანზორ ერქომაიშვილის სახელს რამდენიმე ფოლკლორული ანსამბლის დაარსება უკავშირდება, მათ შორისაა „რუსთავი“ და „მართვე“, რომლებსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა. არაერთი ცხოვრებისეული ფაქტი, საინტერესო ისტორია გაიხსენეს ხსოვნის საღამოზე, პარალელურად შესრულდა ფოლკლორული სიმღერები, მათ შორის პოლიფონიური მუსიკა ანზორ ერქომაიშვილის საავტორო კრებულებიდან. ეკრანზეც ვიხილეთ ბატონი ანზორი, რომელიც მთელი საღამო „ჩვენთან ერთად“ იყო.

ამ დღისთვის საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ მისი ახლობლები, კოლეგები, რომელთა შორის იყვნენ ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე ლალი სეთურიძე, მისი კოლეგები რამინ მიქაბერიძე ქალიშვილ მაიკო მიქაბერიძესთან ერთად, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი, ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელი გიორგი დონაძე, ანსამბლ „მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი მიშო ჯავახიშვილი, ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი დავით შანიძე, ანზორ ერქომაიშვილის ბავშვობის მეგობარი და კოლეგა ტრისტან სიხარულიძე, რომელმაც გვითხრა: „ყველას ძალიან დაგვაკლდა ანზორი და, პირველ რიგში - მე, რადგან მასთან ერთად მთელი ბავშვობა გავატარე. ძალიან გამიხარდა, ბათუმმა ასე თბილად რომ გაიხსენა“.

საღამოს დაესწრნენ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე.

გულთბილად მოიგონა ანზორ ერქომაიშვილი ყველამ, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა.

- ბედნიერებაა, რომ ასეთ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა - მეგობრული, ოჯახური და, რაც მთავარია, შემოქმედებითი. ჩვენ 60 წელი ერთად ვიყავით, ეს არ არის ცოტა. დიდი სიყვარული გვქონდა ერთმანეთის მიმართ და ამას წარსულ დროში რომ ვამბობ, გული ძალიან მტკივა. სამი ადამიანის სიცოცხლე დასჭირდებოდა იმას, რაც მან თავისი ნიჭით, პატრიოტობით გააკეთა. მეცნიერი, შემოქმედი კაცი იყო, რომელმაც ქართული საუნჯე გადაარჩინა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოიძია ლოტბარები, მერე ამა თუ იმ სიმღერას ანსამბლებში „რუსთავსა“ და „მართვეში“ ამუშავებდა, საბოლოო სახეს აძლევდა. ანსამბლ „რუსთავში“ როცა მიმიწვია, ყველაფერი დავთმე - მაშინ სახელმწიფო ანსამბლში ვმოღვაწეობდი. სწორედ „რუსთავში“ აღვადგინეთ მისი მოძიებული, იმქვეყნად წასულების სიმღერები, რომლებიც ანზორმა დაამუშავა და წარმოაჩინა. ის რომ არა, მათ შესახებ დღეს არავის, საერთოდ, მომავალ თაობას არაფერი ეცოდინებოდა. გამოსცა არაერთი დისკი, წიგნი. იყო უნიჭიერესი შემოქმედი. ბედნიერი ვარ, რომ მაშინ დამიყენა გვერდით, როცა ქართულ ფოლკლორს საშიშროება დაემუქრა. ჩამოვაყალიბეთ ბავშვთა ანსამბლი „მართვე“ და ეს ზუსტად იმ დროს, როცა აუცილებელი იყო, რადგან აღარავის ახსოვდა ხალხური სიმღერა. გავიდა წლები, „მართვეს“ წევრები დაიზარდნენ და თავად შექმნეს ანსამბლები, მათ შორის, ჩემმა გოგონამ, რომელიც დღეს უნარიანად უძღვება „საგალობელსა“ და „პატრიარქის ნათლულებს“. აჭარაში რომ მომიწვიეს ბავშვთა ფოლკლორული სახელმწიფო ანსამბლის ჩამოსაყალიბებლად, ანზორ ერქომაიშვილს ძალიან უხაროდა, ჩამოდიოდა, გვისმენდა. მას ძალიან უყვარდა ბათუმი და არ შეიძლებოდა, ამ ქალაქს მისთვის გვერდი აევლო, არ გაეხსენებინა. დიდი მადლობა გიორგი ჭანიშვილს, ვინც დაგეგმა ეს საღამო. ანზორი იყო ნამდვილი ერისკაცი, რომელმაც საშვილიშვილო საქმე გააკეთა ჩვენი ერისთვის, ქვეყნისთვის. მის სახელოვან წინაპრებს, მთელ საქართველოს პატრონად გამოუჩნდა, მივიწყებული ხალხი ამოატივტივა, გააცოცხლა. მჯერა, რომ ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი კიდევ უფრო დაფასდება, რადგან ის არ იყო მარტო ლოტბარი, მომღერალი, ის მეცნიერი, შემოქმედი იყო, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა. მისი აღზრდილები აგრძელებენ ტრადიციებს და უვლიან იმ შესანიშნავ საგანძურს, ჩვენმა წინაპრებმა რომ დაგვიტოვეს და რომელიც იუნესკომ აღიარა. ამაში მისი უდიდესი წვლილია. ჩვენმა წინაპრებმა მაშინ არ იცოდნენ, რა მარგალიტებს ტოვებდნენ, მაგრამ ანზორმა მათ ერთად მოუყარა თავი და ჩვენი ქართული სიმღერა არამატერიალური სულიერი კულტურის ძეგლად იქცა. მადლობა ყველას, ვინც ეს საღამო ჩაიფიქრა და განახორციელა, - გვითხრა რამინ მიქაბერიძემ.

- ბატონი ანზორი ის ადამიანია, რომელმაც მაჩუქა ყველაზე ძვირფასი საჩუქარი - ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეში“ ერთადერთი გოგონა ვმღეროდი. ის დიდი ღვაწლი, რაც ბატონმა ანზორმა ქართული სასიმღერო ფოლკლორისთვის გაიღო, ნამდვილად შეუფასებელია. თითოეული მისი ყოფილი მოსწავლე ვცდილობთ, ჩვენი საქმიანობით გავყვეთ მის გაკვალულ გზას. მადლობა ორგანიზატორებს, რომ მოგვიწვიეს და ასეთი ზეიმის თანამონაწილე გაგვხადეს. ანზორ ერქომაიშვილთან ყოველი შეხვედრა დიდი ზეიმია, - თქვა „აჭარასთან“ მაია მიქაბერიძემ.

- დღევანდელი კონცერტი ძალიან ემოციური და თბილი, ამათან გულდასაწყვეტი იყო, რადგან ანზორ ბიძია არ იყო ჩვენ გვერდით, თუმცა კონცერტი ისე იყო მომზადებული - ვიდეოები, სიმღერების ჩანაწერები, თითქოს ისიც ჩვენთან ერთად იმყოფებოდა, ამიტომ შევეცადე, ძალიან კარგად მემღერა, - გვითხრა ანზორ ერქომაიშვილის ბიძაშვილის შვილმა მარიამ ერქომაიშვილმა.

- ანზორმა ისეთი საგანძური შემოგვინახა, რომელიც ხელიდან ხელში უნდა გადადიოდეს, საგოგმანებელია. ასეთი იყო განძი, რომელიც ექვთიმე ღვთისკაცმა შემოგვინახა, მაგრამ ხალხური სიმღერის გარეშე საქართველო ძალიან ბევრს კი არ დაკარგავდა, საქართველო არ იარსებებდა. სხვადასხვა პროფესიის დიდი ადამიანები მიდიან, მაგრამ ყველა მოღვაწე არ იყო, ანზორი დიდი მოღვაწე გახლდათ, - აღნიშნა პოეტმა ვახტანგ ღლონტმა.

- ანზორ ერქომაიშვილმა გადაარჩინა ქართული სიმღერა, ბოლო წიგნით კი დაგვანახა, რომ ქართული სიმღერა ცოცხალია (წიგნი ბაბუას, ცნობილ ლოტბარ არტემ ერქომაიშვილს მიუძღვნა). ბავშვობიდან ვუსმენდი ხალხურ სიმღერებს, შემდეგ საცეკვაო კარიერა დავიწყე, თუმცა ქართული სიმღერა ბავშვობიდან ჩემში ზის, მან შემაყვარა. სანამ ქართული სიმღერა ერში იყღერებს, მანამ ანზორ ერქომაიშვილის სახელი უკვდავი იქნება. ჩვენს ქალაქსაც უნდა ეთქვა ბატონი ანზორისთვის თავისი სიტყვა და ვთქვით კიდეც. ეს იმ ქალაქის მადლიერების გამოხატვაა, სადაც ეს დიდი მოღვაწე დაიბადა, - აღნიშნა საღამოს იდეის ავტორმა და ორგანიზატორმა, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ დირექტორმა გიორგი ჭანიშვილმა.

- მადლობით დავიწყებ, რადგან შესანიშნავი საღამო მოუწყვეს ბატონ ანზორს, რომელშიც მთელი სული და გული იყო ჩადებული. სიმბოლურია, რომ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ბათუმში გაიმართა, რადგან მას ყველაზე მეტად ბათუმი უყვარდა - აქ დაიბადა, ცხოვრობდა და როცა აქეთ მოდიოდა, ყოველთვის ბედნიერი იყო. მადლობა ამ საღამოს ორგანიზატორებს და განსაკუთრებით გიორგი ჭანიშვილს, რომელსაც ბატონი ანზორისადმი სიცოცხლეშივე ჰქონდა გამორჩეული დამოკიდებულება, რაც საღამოზე კარგად ჩანდა. სიმღერები კომპოზიციურად იყო შერჩეული. არაჩვეულებრივად იმღერეს ანსამბლებმა, ყველას მადლობა მინდა გადავუხადო ამისთვის. კარგი იქნება, თუ ამ საღამოს თბილისის საზოგადოებაც იხილავს. იქ შევმატებთ ანსამბლებს და, ვფიქრობ, შესანიშნავი გამოვა, - გვითხრა გიორგი დონაძემ.

„წელს სრულიად განსხვავებული არჩევნები იქნება“

მე-4 გვერდიდან

- თქვენი აზრით, საპარლამენტო არჩევნები კვლავ ურთიერთდაპირისპირების ფონზე ჩაივლის?

- მიმაჩნია, რომ წელს სრულიად განსხვავებული არჩევნები იქნება, მეტ ყურადღებას დაგვითმობს ევროპა და, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, „ქართული ოცნება“ მიმართავს ყველა რუსულ ხერხს ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

- რამდენად საფუძვლიანია ასეთი შეხედულება? ოპოზიცია, ძირითადად, დედაქალაქში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდსა და ბათუმში აქტიურობს, სხვა რეგიონებში კი ასეთი აქტივობები არ შეინიშნება.

- ჩემი აზრით, საქართველოს რეგიონები ყოველთვის აქტიურობდნენ, თუნდაც რევოლუციის დროს და დღეს ყველა დიდ აქციას საქართველოს რეგიონებიდან ავსებენ, მათი ძალა ყოველთვის ჩანს რუსთაველის გამზირზე. ვფიქრობ, რეგიონები ადგილობრივ დონეზეც აქტიურობენ, უბრალოდ, ნაკლები ყურადღებაა მათ მიმართ როგორც ტელევიზიების მხრიდან, ისე სხვა პლატფორმებიდან.

- გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკას ხელისუფლების მიმართ. მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ პრეზიდენტი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებს და „ნაცმოძრაობის“ რიტორიკით საუბრობს. ეს რისი მანიშნებელია?

- საქართველოს პრეზიდენტი დღეს დგას საქართველოს მოსახლეობის 85%-ის მხარეს, რომელსაც სურს ევროპა, ხელისუფლებას კი არ მოეწონა პრეზიდენტის ეს არჩევანი და ყველაფერს აკეთებს, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტი დაკნინდეს სახელმწიფოში და არ იყოს ისეთი სახელმწიფო ორგანო, რომელიც შეეწინააღმდეგება მმართველი გუნდის ნებას. უნდა აღვნიშნო პრეზიდენტის გადაწყვეტილება ლაზარე გრიგორიადისთან დაკავშირებით და მისი გამოსვლები პარლამენტში, რაც მმართველი გუნდისთვის კიდევ ერთი თავის ტკივილია.

- დაბოლოს, მომავალი არჩევნები იქნება თუ არა ტესტი, რამდენად დავუახლოვდებით თუ დავშორდებით დასავლეთს?

- რა თქმა უნდა, ეს წელი საქართველოსთვის გარდამტეხი იქნება, რადგან ქვეყანა ან დარჩება ევროპული ოჯახისკენ მიმავალ გზაზე, ან აქ დაბრუნდება საბჭოთა რეჟიმი და ჭაობი, საიდანაც უკვე ამოვედით. არჩევანი მოსახლეობაზეა - რა სურს: რუსული ჩაკეტილი სამყარო თუ ნათელი ევროპული მომავალი, თავისუფლება, წინსვლა და განვითარება? პასუხი მარტივია და ქართველი მოსახლეობა საკუთარ არჩევანს არჩევნებზე დააფიქსირებს, ქვეყანა გააგრძელებს წინსვლას უკეთესი მომავლისთვის.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მეორე მოსმენით მიიღეს

83 ხმით - 23-ის წინააღმდეგ, პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მეორე მოსმენით მიიღო. მუხლობრივი განხილვა მწვავე კამათის ფონზე მიმდინარეობდა. პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა დარბაზიდან გააძევა ოთხი ოპოზიციონერი: თაკო ჩარკვიანი, სალომე სამადაშვილი, გიორგი ბოტკოველი და თინა ბოკუჩავა

პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატებს მიუთითებდა, კონკრეტული მუხლის შესახებ ესაუბრათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპუტატებს მიკროფონი ეთიშებოდათ. განხილვაზე საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციის დეპუტატებს შორის მწვავე პოლემიკა ფიზიკური დაპირისპირებამდეც მივიდა.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ კანონპროექტის მომხსენებელს შესთავაზა, რომ „უცხო ძალის“ ნაცვლად, ჩაეწერათ რუსეთი და მას ყველა დაუჭერდა მხარს.

პარლამენტის წევრმა შალვა შავგულიძემ გააპროტესტა კანონპროექტის ამოქმედების ვადები, რომლის თანახმად, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად“ რეგისტრაციის ვალდებულება ორგანიზაციებს ექნებათ 2023 წლის შემოსავლების მიხედვით. „გარდამავალი დებულება ითვალისწინებს, რომ კანონს მიეცეს უკუძალა... კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში, რომ არ შევიდეთ, ის არ უნდა შეეხოს შარშანდელ და შარშანწინდელ დაფინანსებას“, - თქვა შავგულიძემ.

პოლიტიკური ჯგუფ „გირჩის“ წევრ სანდრო რაქვიაშვილის თქმით, საუკეთესო გამოსავალია, რომ კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან და არჩევნებში გამარჯვებულმა პოლიტიკურმა ძალამ გადაწყვიტოს მისი ბედი. მომხსენებელმა ანრი ოხანაშვილმა ოპონენტების არცერთი შეთავაზება არ გაითვალისწინა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო კანონპროექტის კენჭისყრას არ ესწრებოდა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, კანონპროექტის მომხსენებელი მამუკა მდინარაძე.

პირველისგან განსხვავებით, მეორე მოსმენაზე კანონპროექტს მხარი დაუჭირა პოლიტიკური ჯგუფის, „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე ფრიდონ ინჯიამ.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძემ 1 მაისს გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობა ვერ მიიღო, ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინებით ყოფნის გამო. სხდომას ესწრებოდა ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი გივი ჭიჭინაძე, რომელიც კანონპროექტის პირველი მოსმენით კენჭისყრის დროს აქ არ იყო. საბოლოოდ, ისევე, როგორც პირველი მოსმენის დროს გამართულ კენჭისყრაზე, კანონპროექტის მხარდამჭერ დეპუტატთა რაოდენობამ 83 შეადგინა.

იმისთვის, რომ პარლამენტმა კანონპროექტი საბოლოოდ მიიღოს, კომიტეტსა და პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენითაც უნდა განიხილონ და კენჭი უყარონ.

პარლამენტმა აღნიშნული კანონპროექტის საბოლოო, მესამე მოსმენით მიღების სავარაუდო თარიღად 17 მაისი დაასახელა. კანონპროექტის განხილვის პარალელურად პარლამენტთან საპროტესტო აქცია „კი - ევროპას! არა - რუსულ კანონს!“ მიმდინარეობს.

30 აპრილისა და 1 მაისის ღამით „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მოწინააღმდეგეთა აქციის მონაწილეების მიმართ პოლიციამ ცრემლმდენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენა. ასევე დემონსტრანტების დასაშლელად გამოიყენეს სპეცრაზმიც. აქციაზე არაერთი ადამიანი დაშავდა. საპროტესტო აქციაზე გამოიკვეთა ნიღბიანი ადამიანი, რომელიც სპეცრაზმელების მხარეს იდგა და დემონსტრანტებს სახეში მუშტს ურტყამდა.

აქციის მონაწილეების მიმართ ძალის გადამეტების ფაქტებზე გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სხვადასხვა კლინიკაში სამედიცინო დახმარების მისაღებად 11 მოქალაქე გადაიყვანეს, რომელთაგან ექვსი პოლიციელი იყო.

შსს-ს ინფორმაციით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის საწინააღმდეგო აქციაზე პოლიციამ დააკავა 63 მოქალაქე.

„საქართველო ერთ-ერთი ლიდერია რეგიონში ტექნოლოგიური ინოვაციების მხრივ“

აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტ მასაცუგუ ასაკავას განცხადებით, საქართველო ერთ-ერთი ლიდერია რეგიონში ტექნოლოგიური ინოვაციების მხრივ, ასევე, მნიშვნელოვანი დამაკავშირებელია ევროპასა და აზიას შორის.

„მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს ფინანსთა მინისტრს. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველო მასპინძლობს აზიის განვითარების ბანკის 57-ე წლიურ შეხვედრას. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველა მოუთმენლად ველით, რომ ეს იქნება ძალიან წარმატებული. თავისი ტრადიციული და თანამედროვე, გამორჩეული ბრენდით საქართველო არის ძალიან მომხიბვლელი და სტუმართმოყვარე ქვეყანა. მისი მნიშვნელოვანი ისტორიით, საქართველო დგამს შთამბეჭდავ ნაბიჯებს მომავლისკენ. განსახილველ საკითხებს შორის არის ფინანსური ტექნოლოგიები, ევროპისა და აზიის დაკავშირება, საქართველოს წვლილი რეგიონულ განვითარებაში და მისი, როგორც ინოვაციების ჰაბის ადგილი“, - განაცხადა ასაკავამ.

„საპატიო ბათუმელობა წოდებათა შორის უმაღლესია“

მე-7 გვერდიდან

ლალი ლომთათიძე, აჭარის განათლების ფონდის დირექტორის მოადგილე:

- მე მეორე თაობის ბათუმელი ვარ, აქ დედა დაიბადა 1932 წელს, ეს არის ჩემი ბავშვობა, სტუდენტობა. ბათუმი ის არაჩვეულებრივი ქალაქია, რომელიც გულს გითბობდა, როცა ჩაქვის უღელტეხილიდან გადმოხედავდი. ახლა ავტობანიდანაც მოჩანს. მიყვარს მისი წვიმითა და მზით. მინდა, ყველა ბათუმელის სახეზე ღიმილს ვხედავდე.

კონსტანტინე ყიფშიანი, ტენორი:

- პირველად დაემთხვა ბზობა და „ბათუმობა“ ერთმანეთს და მიხარია, რომ სწორედ ამ დღეს ვარ თქვენთან ერთად. ჩემთვის მნიშვნელოვანია აქაურ მსმენელთან შეხვედრა, საპასუხისმგებლოა. არ შემიძლია, არ ვთქვა, თუ როგორი შეგრძნება მაქვს და რა მახსენებს ბათუმს ევროპაში უპირველესად. ეს არის მისი საოცარი ქუჩები, ხალხი... ძალიან მიხარია, რომ დღეს თქვენთან ერთად ვარ.

თამარ სირაძე:

- „ბათუმობა“ არის ულამაზესი და უმშვენიერესი დღესასწაული. ბათუმელებისთვის გამორჩეულია და არაბათუმელსაც ბევრს უყვარს, ამიტომ დღევანდელ დღეს ყველას ვულოცავ. ხედავთ, რომ ბევრია გამოსული და ზეიმობს. მინდა, ბათუმი იყოს განათებული იმ უძვირფასესი მოსახლეობით, რომელიც დღესაც ისეთივე ერთგულია ამ ქალაქის, როგორიც აქამდე იყო.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

ხსოვნა

თეიმურაზ (თემურ) ფუტკარაძე

უკურნებელმა სენმა კიდევ ერთი სიცოცხლე შეიწირა - 61 წლის ასაკში გარდაიცვალა თეიმურაზ (თემურ) ალექსანდრეს ძე ფუტკარაძე.

დაიბადა 1962 წლის 2 აგვისტოს შუახევის რაიონის სოფელ ტომაშეთში, ნათელა ვაშაყმაძე-ფუტკარაძისა და ალექსანდრე ფუტკარაძის ოჯახში.

შუბნის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, პროფესიული განათლების მიღებასთან ერთად, ოჯახი შექმნა და შრომითი საქმიანობა დაიწყო. მისი ცხოვრების მეგზური თანაკურსელი გულვარდ თურმანიძე გახდა.

ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის მეურნეობაში. მალე ჩელტის ციტრუსების მეურნეობაში ბრიგადირად დანიშნეს. 1985 წლიდან იყო ფერიის კოლმეურნეობის ეკონომისტი.

1989 წლიდან მუშაობა დაიწყო აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს მახინჯაურის განყოფილებაში ინსპექტორად. ოპერატიული და ალღოიანი ოფიცერი მალე განყოფილების უფროსის მოადგილედ დააწინაურეს. 1991-2003 წლებში ემიგრაციაში იმყოფებოდა. 2004 წლიდან ისევ ქვეყნის წესრიგის დამცველთა რიგებში ჩადგა - მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს შუახევის სამმართველოში უფროსის მოადგილედ, 2008 წლიდან კი ამავე სამმართველოს უფროსად.

2018 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ქალაქ ბათუმის მერიაში სამშენებლო უსაფრთხოების განყოფილების უფროსად. მისი ცხოვრება და მრავალწლიანი შრომა ადამიანებთან კეთილი ურთიერთობებით გამოირჩეოდა. ყველა სამსახურში კვალიფიციური სპეციალისტის, საქმიანი, პროფესიონალი პოლიციელის, თანამშრომლების ჭირ-ვარამის გამზიარებელი ხელმძღვანელის სახელი დატოვა.

თეიმურაზ ფუტკარაძე სიყვარულსა და სიკეთეზე დაფუძნებული ოჯახის წინამძღოლი იყო. 3 შვილის გამზრდელი მამა და 5 შვილიშვილის ბაბუა მათი წარმატებებით ხარობდა. მათ საკეთილდღეოდ ბევრი რამ ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ აღარ დასცალდა.

წავიდა ჩვენგან ღირსეული შუახეველი, ქვეყანაზე მზრუნველი და მოდარდე პიროვნება, რომლის სახელი და საქმეები დიდხანს ემახსოვრება საზოგადოებას, ყველა იმ ადამიანს, ვისაც მასთან სამსახურებრივი თუ მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია;

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

ფუტკარაძეთა საგვარეულო კავშირი;

თეიმურაზ (თემურ) ფუტკარაძის ოჯახი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 2/05/24, 18 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ტილოზე გაცოცხლებული წარსული, ანუ ამბები თავისუფლებაზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*„უკან - ნათელი მომავლისკენ“ - ასე ერქვა **კახა ერისთავის** პერსონალურ გამოფენას, რომელსაც ხელოვნების მუზეუმის გალერეამ 30 აპრილის ჩათვლით უმასპინძლა. ეს ხელოვანისთვის პირველი პერსონალური გამოფენა იყო და, როგორც გვითხრა, ბედნიერია, რომ მისთვის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ქალაქში გაიმართა. თვლის, რომ ბათუმი ევროპული ქალაქია, სადაც განსაკუთრებით იგრძნობა თავისუფლება და იმ ბობოქარ ემოციებს ბადებს, რომელიც მხატვრის ცხოვრებას მუდმივად ახლავს.*

- ჩემთვის ბათუმი ყველაზე ევროპული ქალაქია, რომელიც ძალიან მიყვარს და მეძვირფასება. სიხარულის ემოციებს ვერ გადმოგცემთ, ვერ აღვწერ, რას ვგრძნობ ახლა. ალბათ, 5 წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, პერსონალური გამოფენა მექნებოდა და თან ბათუმში, გამეღიმებოდა, არარეალურად მივიჩნევდი, თუმცა ხელოვნება იმიტომაც ნიშნავს უკიდეგანო და გამოუცნობ ლაბირინთებში მოგზაურობას, რომ წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავ, სად ამოიფრქვევი, სად გაგიჩნდება დაუოკებელი ჟინი საკუთარი ემოციების, შინაგანი სათქმელის სხვადასხვა ფორმით გამოხატვისა. კარგად ვგრძნობ ამ ქალაქში თავს. ხშირად მიფიქრია, თბილისში ხომ არ გამეყიდა ბინა და ბათუმში გადმოვსულიყავი საცხოვრებლად. ყველა ხელოვანისთვის ეს ქალაქი შთაგონების წყაროა, აქ სხვანაირი დახვედრა, სიყვარული და სითბო იციან. ალბათ, ყველა მხატვარი, შემოქმედი ადამიანი უნდა გადმოვიდეს ბათუმში, რომ მეტი შემოქმედებითი აღმოჩენა გააკეთოს საკუთარ თავში, - გვითხრა კახა ერისთავმა.

ამბობს, რომ მისთვის ცხოვრება საკუთარ თავში თავისუფლების ძიების მუდმივი პროცესია, რომელსაც უნდა მიჰყვე, გულისყურით მოუსმინო და აკეთო ის, რაც გსურს, რაც წარმოაჩენს შენს ინდივიდუალიზმს. 17 წლის იყო, როცა ერთ-ერთ არხზე პანკ-როკის შესახებ გადაცემას უყურა. იმდენად დაინტერესდა ამ მიმდინარეობით, რომ მალევე მიხვდა, როკის მოსმენა და პანკური ცხოვრების სტილი იყო ის საშუალება, რომლითაც ყველაზე უკეთ გამოხატავდა საკუთარ თავს. 80-იან წლებში, კომუნისტური რეჟიმის დროს, თავისი ცხოვრების სტილით, ჩაცმულობით ყოველთვის იპყრობდა ადამიანების ყურადღებას, ზოგჯერ - არასასურველსაც, თუმცა, შინაგანი თავისუფლების ხარისხით მოახერხა, დარჩენილიყო რეჟიმის გარეთ მდგომ ადამიანად, პიროვნებად, რომლის გამოხატვის ფორმები იყო პროტესტი არსებული ყოფისადმი და არა აგრესია.

- რომ გითხრათ, ბოლომდე თავისუფალი ვარ ახლა ან ვიყავი-მეთქი, მოგატყუებთ. თავისუფლება შინაგანი მდგომარეობაა, რომლის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო. თავისუფლებისთვის ბრძოლა მუდმივი პროცესია. თუ მუდმივად ეძიებ საკუთარ თავში ბრძოლის, არდანებების უნარს, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე აუცილებლად მოიპოვებ პატარ-პატარა თუ დიდ გამარჯვებებს, რაც კიდევ უფრო მეტი ბრძოლის ჟინს გაგიღვივებს. მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნეა, დღესაც ვაწყდებით აგრესიას, ბულინგს. საყურე ეკეთება ადამიანს თუ წითელი თმებით გაივლის, ეს ნამდვილად არ არის ჩვენი საქმე. არჩევანის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და არ უნდა შევუზღუდოთ, მით უფრო მაშინ, თუ ის არავის აზიანებს. თავის დროზე მეც ცოტათი ნეონაცისტური გარეგნობა მქონდა, მაგრამ ფაშისტებისგან ძალიან განვსხვავდებოდი, - ამბობს მხატვარი, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდა, თუმცა არასოდეს ყოფილა ხელოვნებისგან შორს. 3-4 წლის წინ, მეგობრის რჩევით, კვლავ მიუბრუნდა მხატვრობას, ფუნჯი აიღო და ტილოზე იმ ადამიანებისა თუ მოვლენების ხატვა დაიწყო, მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი რომ შეასრულეს.

- პროფესიით მხატვარი ვარ. ისეთი პედაგოგი მყავდა, ჯიბსონ ხუნდაძე, რომ შეუძლებელი იყო, ხატვა არ დამეწყო. ჩემს ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა როკ-მუსიკამ, შესაბამისად, როკ-არტისტების პორტრეტების ხატვით დავიწყე. წარმოიდგინეთ, ფოტოაპარატის ფირს რომ გახედავ მზის შუქზე და იტყვი, ეს რა კარგი კადრია, არ მინდა, დაიკარგოსო, სწორედ ისე ვარ. ცხოვრებას, როგორც ფირს, გონებაში გადავახვევ ხოლმე და იმ კადრებს ვხატავ, რამაც თავის დროზე შთამაგონა, ამანთო, ბობოქარი ემოციები მომიტანა. ერთმა ადამიანმა მითხრა, რატომ ადრევე არ დაიწყე ხატვა, რამდენი დრო დაგიკარგავსო. ვფიქრობ, არაფერი დამიკარგავს, პირიქით, ზუსტად იმ დროს დავიწყე ხატვა, როცა გონებამ ვეღარ დაიტია ამდენი გამოსამზეურებელი ამბავი. ვფიქრობ, რადგან სერიოზულად მოვკიდე ხელი ხატვას, ბოლომდე გავყვე და არ გადავუხვიო ჩემს პრინციპს - თავისუფლებისკენ სწრაფვას. ჩემში ორმა ხელოვნებამ - მუსიკამ და მხატვრობამ გადაკვეთა ერთმანეთი. ვამბობ, რომ მე მხატვრობას ვემსახურები, მუსიკა მემსახურება მე, მათგან მოგვრილი ჰარმონია კი ცხოვრებიდან კიდევ ბევრ ამბავს გადმომახატინებს ტილოზე. ბათუმურმა დახვედრამ იმხელა ენერგია მომცა, ერთი სული მაქვს, ჩავიდე სახლში და უფრო მეტი ენთუზიაზმით შევუდგე ხატვას, - გვითხრა კახა ერისთავმა.

როგორც მხატვარმა გაგვიმხილა, მეორე გამოფენის მასპინძელი ისევ ბათუმი იქნება.

გოგონა, რომელიც ურთიერთობს სიდიადესთან

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ანაგელ სალომე ონეზაშვილი *ახალგაზრდა, თვითმყოფადი და საინტერესო პოეტია, რომელიც საკუთარ მისწრაფებებსა და ემოციებს გულწრფელად გამოხატავს ლექსებში. ის მუდამ სიახლის ძიებაშია, მის პოეზიაში ირეკლება თანამედროვე ადამიანის სულიერი ძვრები, ადამიანისა, რომელიც წუთისოფლის რთულ გზას შედგომია.*

- ერთი წლის წინათ ჩვენი გაზეთის სტუმარი იყავით, მას შემდეგ რა სიახლეა თქვენს შემოქმედებაში?

- შემოქმედებაში რაიმე ცვლილება თუ არ არის, ასე მგონია, კვდება, განვითარება ჩერდება, წინა წელთან შედარებით, უფრო კარგად ვჩანვარ ჩემს ლექსებში, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ჩემი განცდების გადმოცემა შევძელი და ემოციაც უფრო საგრძნობია.

- ცნობილმა პოეტმა ზაალ ჯალაღონიამ თქვენ სულით პოეტი გიწოდათ. ამ აღიარებას ელოდით?

- რაც წერა დავიწყე, მას შემდეგ ბატონი ზაალი ყველგან და ყოველთვის გვერდში მიდგას. თავიდან სწორედ მან გამომიქვეყნა ლექსები, მაჩვენა გზა და მასწავლა ძალიან ბევრი რამ. იგი ყველასგან განსხვავებული, ჭეშმარიტი პოეტია. არც მჯერა, რომ მისი ყურადღება მივიპყარი, მისი შექება დავიმსახურე, რაც ძალიან გამიხარდა და ჩემთვის სტიმული გახდა.

- როცა პირველი ლექსი დაწერეთ... როგორ გაგონდებათ თქვენი პოეტური დაბადების დღე?

- პირველივე ლექსში პოეტი ვარ-მეთქი, რომ ვიძახი, ახლა მრცხვენია... მკათათვის 16 იდგა, თხუთმეტის წლის გოგონას ემოციები მომეძალა, როცა ულამაზეს ბუნებაში ვიყავი. ირგვლივ ისეთი სიჩუმე სუფევდა, ისეთი იდუმალება, ვიგრძენი, როგორ ვურთიერთობდი ამ სიდიადესთან. ახლაც განვიცდი მაშინდელ ემოციას, მოულოდნელად სიტყვების დაბადებას რომ გრძნობ, მერე ეს სიტყვები ახმაურდებიან, არ გასვენებენ, უნდა გადაიტანო ფურცლებზე.

- „ჩემი უბედურება უკანასკნელი ცაა, რომელშიც ფიქრი არ მეტევა“ - ამბობთ ერთ-ერთი ლექსში. ფიქრებით ხშირად მოგზაურობთ „ღრუბლებისა და ნისლის სამეფოში“?

- თუ არ ვფიქრობ, უბედური ვარ, პირდაპირ ვაცხადებ, დასნეულებული ვარ ფიქრებით.

- ოთარ ჭილაძის ნათქვამი მახსენდება: გინდ მარადიულ ომში წასულხარ და გინდ კალმისთვის მოგიკიდია ხელიო. თქვენ როგორ ფიქრობთ?

- ყველაზე ნამდვილი პოეტია ოთარ ჭილაძე, იცოდა, ეს დაუსრულებელი ომი როგორიც იყო, კალმით მთავრდება ყველაფერი.

- როგორც გავიგე, ერთ-ერთ რადიოში დაიწყეთ მუშაობა, ანუ ჟურნალისტის გზას შეუდექით?

- ჟურნალისტიკისადმი მისწრაფება ჩემში შვიდი წლის ასაკში დაიბადა. დღეს უკვე 20 წლის ვარ და ვგრძნობ იმ პატარა „მეს“ ასრულებულ ოცნებას, ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება. რადიოს რაც შეეხება, ეს ჩვენი უნივერსიტეტის რადიოა, ასევე, პრაქტიკებს გავდივართ მულტიმედიაშიც, რაც გვეხმარება კარიერულ ზრდაში.

- თქვენი აზრით, რა მატებს ადამიანს სულიერ ძალას და თქვენ - პირადად?

- მე არ შემიძლია სუსტად წარმოვჩნდე, სულ რომ ცუდად იყოს ყველაფერი. გონებას უნდა მოვაძებნინო კარგი რამ, საწყისი ღმერთია და სურვილი, იპოვო საკუთარი „მე“, საკუთარი გზა.

- როცა მარტო რჩებით, როგორი ხართ?

- მარტოობა ბავშვობიდან ჩემი ყველაზე დიდი ჩვევაა, მარტო როცა ვარ, ვარ ყველაზე კარგად, საკუთარი თავის ბედნიერების საწყისიც მე ვარ და უბედურებისაც.

- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

- მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად ხდება ეს, ფილმებს ვუყურებ ან, როგორც ბუნებით მაძიებელი, რაღაც ახალს ვეძებ.

- რა არის სიყვარული?

- რაღაც უსაგნო, მჩატე და უხილავი, სულ თან რომ დაგყვება.

- ყველაზე დიდი ბედნიერება და ყველაზე დიდი უბედურება...

- უბედურებაა შეგუება, ბედნიერება - სიმშვიდე.

- როგორ სიზმრებს ხედავთ?

- იშვიათად ვხედავ და კიდევ უფრო იშვიათად ვიმახსოვრებ, მაგრამ როცა ვხედავ, ან მაშინებს, ან ახლობელ ადამიანებთან ერთად ვარ.

- ტრადიცია და ნოვატორობა - თქვენ რომლისკენ იხრებით?

- ნოვატორობა საჭიროა. კარგ ტრადიციებს თუ არ დაამახინჯებ, ნამდვილად კარგია.

- ახლა რას ნატრობთ?

- სულ რაღაცას ვნატრობ, მაგრამ ეს ყველაფერი ადამიანური სურვილებია, ნამდვილი ნატვრა კი დედაჩემის აქ ყოფნაა. როგორც სკოლის პერიოდში, სახლში მხვდებოდეს და მეც ისევ იმ ემოციებით ვიყო.

- დაბოლოს, შეკითხვა საკუთარ თავს...

- ყველაზე მეტად კითხვებით ვტანჯავ თავს, იმდენი მაქვს, თუმცა... ახლა ამას ვკითხავდი საკუთარ თავს: მაინც, როგორ დარჩი ასეთი?